

0634790360 გაცათლება

B E B B B N

¶ ¸

ტ E R A N G E B N

2011

**ცნობარი მოამზადა**

**თათის ააჭარისამ**

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების

ცენტრის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი

**სარედაქციო კოლეგია:**

**ნათის ჯოსაძე**

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების

ცენტრის დირექტორი

**გზის ცერეტილი**

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის

ეროვნული შეფასებების, კვლევებისა და ანალიზის

სამმართველოს უფროსი

**ზანა კვაჩაძე**

ექსპერტ-კონსულტანტი

**ანა ლალიძე**

ექსპერტ-კონსულტანტი

**თიმარინ ჭიათურავლი**

ექსპერტ-კონსულტანტი

**მაღლობა თანამშრომლობისათვის**

**მელეა კაკაჩიას**

USAID (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო  
განვითარების სააგენტო)

**ნათის დეისაპეს**

Save the Children in Georgia („გადავარჩინოთ ბავშვები“-ის  
წარმომადგენლობა საქართველოში)

**მხატვარ-დიზაინერი**

გურა წრიაური

**რედაქტორი-სტილისტი**

მანანა მიქელაძე



ეროვნული სასწავლო გეგმებისა  
და შეფასების ცენტრი  
NATIONAL CURRICULUM AND  
ASSESSMENT CENTRE



**USAID**  
ამერიკული დანართები

ISBN 978-9941-0-2999-8



UDC(უაკ):37(038)+  
+81'374.26:37=3531  
+37.01  
o-59

# სარჩევი

ნინათქმა ..... 5

თავი I.

სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული ცნებები,  
ტერმინები და თეორიები ..... 6

თავი II.

სამედიცინო ტერმინები, დიაგნოზები და ცნებები ..... 44

თავი III.

სწავლისა და სწავლების დამხმარე ტექნოლოგიები ..... 64

თავი IV.

კონვენციები, დეკლარაციები, რეკომენდაციები ..... 69



## ნინათქმა

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ.

ნინამდებარე ცნობარში წარმოდგენილია ინკლუზიურ და სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების და ცნებების განმარტებები. ტერმინები მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს ტერმინები შეეხება სწავლებასა და სწავლას, ბავშვის განვითარებას. ლექსიკონი განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის და მშობლებისთვის. ცნობარი დაეხმარება განათლების სპეციალისტებს, სტუდენტებს, განათლების ფსიქოლოგებსა და განათლების დარგში მომუშავე სხვა პროფესიის ადამიანებს.

ცნობარში ინკლუზიური განათლების ცნებები და ტერმინები თემატურად არის მოცემული და ყოველი თემის ფარგლებში ანბანის მიხედვით არის დალაგებული. ცნობარში ხუთი ძირითადი თემაა შესული:

1. ინკლუზიურ და სპეციალურ სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები;
2. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სამედიცინო ტერმინები, დიაგნოზები და ცნებები;
3. სწავლისა და სწავლების დამხმარე ტექნოლოგიები;
4. საერთაშორისო კონვენციები და ინკლუზიური განათლების სამართლებრივი ჩარჩო;
5. ინკლუზიური და სპეციალური განათლების რესურსების სასარგებლო ელექტრონული გვერდების მისამართები მათზე განთავსებული ინფორმაციის მოკლე აღწერით;

ცნობარი ასევე მოიცავს იმ ორგანიზაციების სიას, რომელებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების საკითხებზე მუშაობენ.

## თავი |

# SWAVLASA DA SWAVLEBASTAN DAKAVSIREBULI CNEBEBI, TERMINEBI DA TEORIEBI



**აბსტრაქტული აზროვნება (Abstract thinking)** – აზროვნების სახე, რომელიც არ ითვალისწინებს პრინციპს „აქ და ამჟამად“, არ-სებულ მოვლენებს და საგნებს და ხასიათდება ცნებებითა და განზოგადებით. იდეების თვისებების განხილვა თუ ცნებებს შორის მიმართებების გააზრება ობიექტების უშუალოდ არსებობის გარეშე ხდება. მაგალითად, სიდიდის, სილამაზის ცნებების გააზრება კონკრეტული დიდი და ლამაზი ობიექტების განხილვის გარეშე. აბსტრაქტული აზროვნების საპირისპირო ცნებაა კონკრეტული აზროვნება.

**ადაპტირებული ფიზიკური აღზრდა (Adapted physical education)** – ფიზიკური აღზრდის პროგრამა, რომელიც მორგებულია და მაქსიმალურად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებებს; ადაპტირებული ფიზიკური აღზრდის მიზანია მოსწავლეთა ფიზიკური ჯანმრთელობისა და მოტორული ფუნქციების – მოქნილობის, კოორდინაციის, მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარება.

**ადაპტური ფუნქციონირება (Adaptive functioning)** – სოციალური და პრაქტიკული უნარ-ჩვეულები, რომელიც გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის არის აუცილებელი და ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის ფუნქციონირების ადეკვატურებას უზრუნველყოფს.

**ადეკვატური /შესაბამისი განათლება (Appropriate education)** – ყველა ბავშვის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული განათლება. ადეკვა-



ტური განათლება ეფუძნება მოსწავლეთა შესაძლებლობების, სწავლის უნარის განვითარების, მიღწევების სისტემატურ პედ-აგოგიურ შეფასებას და ადაპტირებული პროგრამების, სხვა-დასხვა დამხმარე თვალსაჩინო მასალის თუ ტექნოლოგიების გამოყენებას.

**ადრეული სკრინინგი და იდენტიფიკაცია (Early Screening and Identification)** – ბავშვის განვითარების დარღვევის ან დაავა-დების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და დადგენა.

**აკადემიური მოსწრება (Academic achievements)** – სასწავლო პრო-ცესის სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეთა მიერ კონკრეტულ საგ-ნებში მიღებული ცოდნის ჯამური შეფასება საგნობრივი პრო-გრამებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

**ანალიზი (Analysis)** – აზროვნების ოპერაცია, რომლის საშუალე-ბითაც ადამიანი ცნობიერებაში აღქმული მოვლენის ცალკე ნაწილებს, მხარეებსა და თვისებებს გამოყოფს.

**ანალიტიკური მეთოდი ან სტილი (Analytical mode or style)** – ნებისმიერი პრობლემის ან დავალების მცირე კომპონენტებად, შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და მისი ღრმა ანალიზი.

**არადისკრიმინაციული შეფასება (Nondiscriminatory evaluation)** – უკლებლივ ყველა მოსწავლისთვის სწავლის თანაბარი პირო-ბების უზრუნველყოფა და შესაბამისი შეფასება მიუხედავად მათი რელიგიური, რასობრივი, სქესობრივი და სოციალური წარმოშობისა თუ შესაძლებლობებისა.

**არავერბალური კომუნიკაცია (Nonverbal communication)** – კო-მუნიკაცია ისეთი არავერბალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სახის გამომეტყველება (მიმიკა), უესტები, სხეუ-ლის პოზა, შეხება და სხვა.

**არაფორმალური განათლება (Non-Formal Education)** – ნებისმიერი დაგეგმილი, მიზანმიმართული და ნებაყოფილობითი პრო-გრამა, რომელიც ფორმალური სასწავლო გარემოს ფარგლებს სცილდება. არაფორმალური განათლების პროგრამის მიზანია მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების ფართო სპექტ-

რის განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების კომპეტენ-  
ციების მოპოვება.

**არტთერაპია (Art therapy)** – თერაპიული მიზნებისთვის ხელოვ-  
ნების სხვადასხვა ფორმის ( მაგ., ხატვა, ძერწვა, დრამა და  
ა.შ.) გამოყენება.

**არტიკულაცია (Articulation)** – ხმის იოგების საშუალებით სამეტ-  
ყველო ბერების, სიტყვების, წინადადებების მკაფიოდ წარ-  
მოთქმა.

**ასერტულობა (Assertiveness)** – სოციალური უნარ-ჩვევა, რომე-  
ლიც გულისხმობს სხვებთან ურთიერთობისას საკუთარი  
უფლებების დაცვას და საკუთარ აზრებს, ფიქრებსა თუ სურ-  
ვილებს პირდაპირი, მაგრამ არააგრესიული გზით გამოხატავს.  
**აფექტური (Affective)** – დაკავშირებულია ემოციებთან, გრძნო-  
ბებთან, დამოკიდებულებასთან.

**აქსელირებული /იგივე კომპაქტური/ პროგრამები (Accelerated  
programs)** – მოსწავლის მიერ იმ სასწავლო მასალის დაჩქა-  
რებულად გავლა, რასაც მისი თანატოლები უფრო ხანგრძლი-  
ვი დროის მონაკვეთში გადიან, ანუ ჩვეულებრივი სასწავლო  
პროგრამის დროის უფრო მოკლე მონაკვეთში დასრულება. ამ  
მეთოდს ნიჭიერი ბავშვების სწავლების დროს მიმართავენ (იხ.  
ნიჭიერი ბავშვები).

**აღქმა (Perception)** – გრძნობის ორგანოებით (შეგრძნებით) მიღებუ-  
ლი სტიმულების/ინფორმაციის გაგების, შემეცნების პროცესი.

## ბ

**ბაგებიდან ამოკითხვა (Lip reading)** – მეტყველების გაგების ტექ-  
ნიკა პირის, ტუჩებისა და ენის მოძრაობების მხედველობით  
ინტერპრეტაციის გზით.

**ბავშვის ადრეული განათლება (Early child education)** – რვა  
წლამდე ასაკის ბავშვების სწავლების საგანმანათლებლო პრო-  
გრამები.

**ბგერა (Sound)** – დრეკადი გარემოს ნაწილაკების რხევა, რომელიც ტალღებად ვრცელდება აირისებრ, თხევად და მყარ გარემოში. ბგერის ფიზიკური ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის მიერ გაგონილი ბგერებით. ადამიანი შეიგრძნობს 16-დან 20000 ჰერც-მდე სიხშირის ბგერებს, უფრო დაბალი ან მაღალი ბგერები კი ადამიანის სმენის მიღმა რჩება. 16 ჰერცზე დაბალ ბგერებს ინფრაბგერა\_ენოდება, 20000 ჰერცზე მაღალი სიხშირისას ულტრაბგერა.

**ბგერის ინტესივობა (Sound intensity)** – ბგერის სიდიდეა. ინტენსივობა დაკავშირებულია ხმაურის აღქმასთან და იზომება დეციბალებით.

**ბგერის სიხშირე (Sound frequency)** – ვიბრაციის სიჩქარე; დაკავშირებულია ბგერის სიმაღლის აღქმასთან. სიხშირე ჰერცებით იზომება.

**ბილინგვური განათლება (Bilingual Education)** – ქართულენოვან განათლების სისტემაში, არაქართულენოვანი მოსწავლეების განათლება როგორც მათ მშობლიურ ენაზე, ასევე ქართულ ენაზე.

## 8

**გაკვეთილის გეგმა (Lesson plan)** – მასწავლებლის მიერ შედგენილი ყოველი კონკრეტული გაკვეთილის სასწავლო ინსტრუქციები, რუტინის და პროცედურების დეტალური აღწერილობა.

**გამამდიდრებელი (დამატებითი) პროგრამები (Enrichment programs)** – სასწავლო პროგრამის გამდიდრება დამატებითი მრავალფეროვანი მასალით მოსწავლის ცოდნის გაფართოვების მიზნით.

**განზოგადება (Generalization)** – ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ნასწავლი უნარ-ჩვევების ან ქცევის გამოყენება სხვა ან მსგავს სიტუაციაში.

**განმავითარებელი კითხვა (Developmental reading)** – სისტემატური, მიზანმიმდინარეული ვარჯიში კითხვის უნარ-ჩვევების განვითა-

რეპისტრის, კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. განმავითარებელი კითხვა ასევე გულისხმობს სავარჯიშოებს წერასა და წარმოთქმაში.

**გარემო ფაქტორები (Environmental factors)** – გარემოში არსებული ფაქტორები და სტიმულები, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანზე, მის ქცევასა თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გარემო ფაქტორები შეიძლება იყოს პოზიტიური (დაწინაურება სამსახურში), სპორტული დარბაზი სახლთან ახლოს და ა.შ.), ნეგატიური (სიღარიბე, მიწისძვრა) და ნეიტრალური (ინდივიდუალურია ყოველი ადამიანისთვის).

**გაფანტულობა (Distractibility)** – ყურადღების კონცენტრირების პრობლემა, რომელიც ვლინდება გონების სწრაფ გადართვაში სხვადასხვა უმნიშვნელო და არალოგიკურ მოვლენებზე.

## 2

**დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე (Underachiever)**

– მოსწავლე, რომელიც ცუდად სწავლობს და იღებს დაბალ შეფასებას მიუხედავად მისი გონებრივ და ინტელექტუალური შესაძლებლობებისა.

**დავალების ანალიზი (Task analysis)** – მოსწავლესთან ერთად კონკრეტული დავალების დეტალურად განხილვის მეთოდი, რომელიც განსაზღვრავს ამ დავალების შემადგენელ ელემენტებს და მისი შესრულებისთვის აუცილებელ ეტაპებს.

**დაკვირვებით სწავლა, სოციალური სწავლა, მოდელირება (Observational learning, Vicarious learning, Social learning, Modeling)** – სწავლა სხვათა ქცევაზე დაკვირვების გზით (იხ. მოდელირება).

**დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა** – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) შემდეგ მასწავლებლის დამატებითი მუშაობა.

**დახმარების იერარქია (Prompt hierarchy)** – სწავლასა და ახალი უნარ-ჩვევების ათვისების პროცესში გამოყენებული დამხმარე სტიმულებისა და და დამატებითი მინიშნებების სისტემა; მაგ. ყოველ გაკვეთილზე მოსწავლისთვის საშინაო დაგალების ჩანერის შეხსენება ან მოსწავლისთვის დამხმარე შეკითხვების დასმა გაკვეთილის თხრობის პროცესში. სასწავლი ქცევისა თუ ჩვევის ათვისების პროგრესის შესაბამისად, დახმარების ინტენსივობა და სიხშირე თანდათანობით მცირდება დახმარებების სრულ გაქრობამდე.

**დეკოდირება /გაშიფრვა კითხვის დროს (Word decoding)** – ასოების (გრაფიკული ხატი) ბეჭერებთან (აკუსტიკური ხატი) დაკავშირების უნარი, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს სწორად წარმოთქვას ნაბეჭდი (წანერი) ასო ან სიტყვა. ასოებსა და ბეჭერებს შორის მიმართებების ცოდნა ბავშვებს საშუალებას აძლევს სწორად ამოიცნონ ნაცნობი სიტყვები და სწორად ამოიკითხონ უცნობი სიტყვები.

**დროებითი დამხმარე კლასები (Temporary Support Classes)** – მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, დროებით შექმნილი დამხმარე კლასები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ სწავლის პროცესში ან კონკრეტულ საგანში წარმოქმნილი სირთულეები.

**დიფერენციალური განმტკიცება (Differential reinforcement)** – განმტკიცების სახე, რომლის დროსაც ხდება მისაღები ქცევის განმტკიცება და პრობლემური ქცევის იგნორირება. დიფერენციალური განმტკიცება ესმარება მოსწავლეს, განასხვავოს სასურველი ქცევა არასასურველი ქცევისგან და განავითაროს მისაღები ქცევა.

## 3

**ენის გამარტივებული მოდელი (Language simple model)** – ცნებებისა და მოვლენების ზედმინევნით კონკრეტული განმარტებები თავისუფალი ყოველგვარი ზედმეტი სიტყვისგან. გამოიყენება ბავშვებთან, რომელთაც მეტყველებისა და ენის ათვისების პრობლემები აქვთ.

**ენის მოდელირების მეთოდები (Language modelling methods)** – ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევის დროს, მოსწავლებთან ურთიერთობისას წარმატებით გამოყენებული მეთოდები (იხ. ენის გამდიდრებული მოდელი, ენის მარტივი მოდელი).

**ეროვნული სასწავლო გეგმა (National curriculum)** – ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული კლასის ან საფეხურის მიზნები და მათი დასრულებისთვის მისაღწევი შედეგები. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით განისაზღვრება აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, სასწავლო საათების რაოდენობა, მათი განანილება და თანაფარდობა. ასევე, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.

## 3

**ვალიდურობა (Validity)** – ტესტის სანდოობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ტესტის ადეკვატურობას (შესაბამისობა) გასაზომი სფეროს მიმართ. (რამდენად ზომავს ტესტი იმას, რის გასაზომადაც არის შედგენილი).

**ვიზუალური აღქმა და დიფერენცირება (Visual-perception and discrimination)** – ვიზუალური სტიმულების ამოცნობისა და დიფერენცირების, დანახულის აღქმის უნარი.

ვიზუალურ-მოტორული ინტეგრაცია (Visual-motor integration)

- ვიზუალური სტიმულებისა და მოტორული რეაქციის ზუსტი და შესაბამისი ფორმით დაკავშირება.

ვიზუალურ-მოტორული ინტეგრაციული თერაპია (Visual-motor integration therapy) – ზოგადი კოორდინაციის, ბალანსის, ხელი-თვალი კოორდინაციის, თვალის მოძრაობის, ფორმების ამოცნობისა და მხედველობითი მეხსიერების გაუმჯობესებაზე მიმართული თერაპია.

ვექსლერის ტესტი WISC (Wechsler Intelligence Scale for Children IV) – ვექსლერის ტესტი, IV გამოცემა (WISC-IV, Wechsler Intelligence Scale for Children – IV) – ინტელექტის სტანდარტიზებული საზომი ბავშვებში. გამოიყენება კოგნიტური ფუნქციების შესაფასებლად; იძლევა ვერბალური, არავერბალური და სრული ინტელექტის კოეფიციენტების გამოყვანის შესაძლებლობას.

## თ

**თავიდან არიდების ქცევა (Avoidance behavior)** – ინდივიდის მიერ

- განხორციელებული ქცევა, რომლის მიზანია არასასურველი სტიმულის/გამღიზიანებლის თავიდან აცილება ან დროში გადავადება.

**თამაშის თერაპია (Play therapy)** – ერთ-ერთი ფსიქოთერაპიული მეთოდი, რომელიც ეხმარება ბავშვს და მოზარდს გაუმჯობესებულ უარყოფით შეგრძნებებსა და მატრავმირებელ მოვლენებს.

**თანატოლთა მხარდაჭერა სწავლაში (Peer tutoring)** – თანატოლების, თანაკლასელების მიერ ერთმანეთის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დახმარება სასწავლო დავალების შესრულებაში, ან სხვა აქტივობაში.

**თვალი-ხელის კოორდინაცია (Eye-Hand coordination)** – თვალის მოძრაობის ხელის მოძრაობასთან კომბინირების უნარი. მხედველობის საშუალებით ხელების მოძრაობის კონტროლი.

**თვით-მასტიმულირებელი ქცევა (Self- stimulatory behavior) –** განმეორებადი, სტერეოტიპული, ფუნქციურად დამოუკიდებელი ქცევა, როგორიცაა რწევა, ხელის ან მკლავის ქნევა, თვალის სრესა და ა.შ.

**თვითშეფასება (Self-esteem)** – ინდივიდის მიერ საკუთარი თავის და საკუთარი ღირებულების შესახებ არსებული წარმოდგენა, საკუთარი უნარების და შესაძლებლობების შეფასება.

## 0

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (Individual educational plan) –** წერილობითი დოკუმენტი, შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ამ საჭიროების დაკმაყოფილების გზებსა და ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (Revision of individual educational plan) –** ისგ-ს გადახედვის მიზანია, მიღებული გამოცდილების საფუძველზე ახალი სასწავლო მიზნებისა და განხორციელებადი აქტივობების განსაზღვრა მოსწავლის წარმატებების, წარუმატებლობების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გრძელვადიანი მიზანი (IEP Long-term goal) –** მიზანი, რომელსაც ისგ-ის გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ და რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ ისგ-თი წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მოკლევადიანი მიზნები (IEP Short-term goals) –** საფეხურები გრძელვადიანი მიზნები-

სკენ. (იხ. გრძელვა დიანი მიზნები). თავის მხრივ, მოკლევადიანი მიზნებიც შედგება საფეხურებისგან, კიდევ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდება მარტივიდან რთულისკენ.

**ინკლუზიური განათლება (Inclusive education) –** არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს **ყველა** ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ.

**ინკლუზიური განათლებასთან დაკავშირებული მომსახურება (Inclusive Education Related Services) –** ყველა ტიპის მომსახურება, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს დაეხმარება სწავლასა და ადაპტაციაში და მოიცავს ფსიქოლოგიური, ლოგოპედური, ფიზიკური, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებას. .

**ინკლუზიური განათლების კოორდინატორი (Inclusive education coordinator) –** სკოლის მიერ არჩეული პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში ინკლუზიური განათლების საკითხების კოორდინირებაზე.

**ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი (Inclusive education multidisciplinary team) –** სპეციალისტების გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და ზოგადი განათლების პედაგოგი. გუნდის შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს საჭიროებისდა მიხედვით. მულტიდისციპლინური გუნდი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების იდენტიფიკაციასა და შეფასებას, მშობლებისა და მასწავლებლების კონსულტირებას სსსმ ბავშვის სწავლას, სწავლებასა და ქცევასთან დაკავშირებით,

სსსმ ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასებასა და მონიტორინგს, სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობას. სკოლას სასკოლო შტატში შესაძლებელია ჰყავდეს მუდმივმოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი. ასევე, შესაძლებელია მობილური მულტიდისციპლინური გუნდების არსებობა განათლების სისტემის მართვის ორგანოებთან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ან რესურს-ცენტრი).

### **ინკლუზიური განათლების სახეები (Forms of inclusive education)**

- 1) სრული ინკლუზია; 2) ნაწილობრივი ინკლუზია ანუ ინტეგრირებული სწავლება.

**ინტეგრირებული სწავლება** (ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი სახე) (**Integrated Education**) – გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებულ სპეციალურ კლასში ან რესურს-ოთახში.

**ინტელექტი** (**Intellect**) – ადამიანის გონების უნარი შეიმეცნოს სამყარო ისეთი კოგნიტური პროცესების მეშვეობით, როგორებიცაა აბსტრაქტული აზროვნება, დაგეგმვა, მსჯელობა, პრობლემების გადაჭრა, სწავლა, ყურადღება, მეხსიერება, მეტყველება და სხვ.

### **ინტელექტის დონის შეფასება (Intellect development assessment)**

- პიროვნების შეფასება მისი ინტელექტის დონის განსაზღვრის მიზნით სხვადასხვა ტიპის ინტელექტის საზომი სტანდარტიზებული ტესტების საშუალებით.

**ინტელექტის კოეფიციენტი (IQ – „აიქიუ“)** – სხვადასხვა ტიპის ინტელექტის საზომი, სტანდარტიზებული ტესტების შედეგად მიღებული პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივი მაჩვენებელი.

**ინტერაქტიული სწავლება (Interactive teaching)** – ყველა მოსწავლის ჩართულობა სწავლის პროცესში. ამ დროს ყოველი მო-

სწავლები აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში და არავინ არის პასიური ან გარიყული. ინტერაქტიული სწავლის პროცესში მოსწავლე აქტიურ როლს თამაშობს, მასწავლებელს და მოსწავლეს მუდმივი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

**ინტერვენცია (Intervention)** – საჭიროების შემთხვევაში, პიროვნებისთვის განეული პრევენციული, სამკურნალო, კომპენსატორული ან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურება.

### 3

**კეთებით სწავლება (Practical teaching)** – მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა და წახალისება. მოსწავლეები ასრულებენ ისეთ ქმედებებს, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის და ჩვევის ფორმირებას.

**კითხვარი (სისტემატიზირებული ჩანაწერები) (Checklist)** – მონაცემთა შეგროვების მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის განვითარებისა და ქცევის შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და ჩანაწერების გასაკეთებლად.

**კითხვისთვის მზაობა (Reading readiness)** – წარმოადგენს სულ მცირე შემდეგი უნარების, ასაკის შესაბამის განვითარებას: მეტყველება, ვიზუალური აღქმა, ბეჭერებისა და ნაბეჭდი მასალის ზეპირმეტყველებაში გამოყენებულ სიტყვებთან შეთანხმება, ინტერესი წიგნების და ზოგადად ნაბეჭდი მასალის მიმართ.

**კითხვის სისხარტე (Reading fluency)** – ტექსტის აკურატულად და სწრაფად, შესაბამისი პაუზებითა და ემოციებით კითხვის ტემპი ან ხარისხი.

**კლასის განრიგი Class routine)** – ნებისმიერ სკოლაში, კლასში არსებული გარკვეული წესების ჩამონათვალი, ყოველდღიური და თანმიმდევრული საკლასო აქტივობები, მაგალითად, მისალმება, დავალების შემონმება, გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა და სხვა. აქტივობები ხორციელდება ძირითადად უცვ-

ლელი თანმიმდევრობით, რაც მოსწავლეებს უქმნის შესაბამის განწყობას ერთი აქტივობიდან მომდევნოზე გადასართველად. კლასის რუტინა უზრუნველყოფს კლასის დისციპლინას და ეფექტურ ფუნქციონირებას.

**კოგნიტური / შემეცნების პროცესი (Cognitive process)** – ფიქრის, სწავლისა და სიმბოლოთა მინიჭების ფორმები, მათ შორის შემეცნება, განსაჯა, დამახსოვრება, წარმოსახვა და დასაბუთება.

**კოგნიტური / შემეცნების სტილი (Cognitive style)** – კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ნიშნავს ინდივიდის მიერ აზროვნების, ინფორმაციის მიღებისა და დამახსოვრების და ამ ინფორმაციის პრობლემურ სიტუაციაში გამოყენების უპირატეს ფორმას.

**კოგნიცია (Cognition)** – ინფორმაციის მიღების, გადამუშავების, შენახვისა და გამოყენების პროცესი. წარმოადგენს ისეთი ფსიქიური პროცესების ერთობლიობას, როგორიცაა ყურადღება, აღქმა, აზროვნება, სწავლა და მეხსიერება.

**კომპეტენცია (Competence)** – კონკრეტული ამოცანის შესრულების სთვის საჭირო უნარების, ქცევისა და ცოდნის ერთობლიობა.

**კონკრეტული აზროვნება (Concrete thinking)** – აზროვნების სახე, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ „აქ და ამჟამად“ არსებულ საგნებასა და მოვლენებს და ხასიათდება ცნებებისა და განზოგადების ნაკლებობით. აბსტრაქტული აზროვნების ანტონიმი.

**კონტექსტური სწავლა (Situated learning)** – სწავლა, რომელიც ხორციელდება ინდივიდის კონტექსტში/კონკრეტულ სიტუაციებში, აქტივობაში, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის და მონაწილეობის შედეგად; სიტუაციური სწავლისთვის არსებითია სოციალური ურთიერთობები და თანამშრომლობა, რომლის დროსაც ინდივიდი ითვისებს იმ ღირებულებებს და ქცევებს, რომელიც ამ ურთიერთობებისთვის და თანამშრომლობისთვის არის საჭირო. ასეთი სახის სწავლა უფრო სპონტანურია და ძალდატანების გარეშე ხდება.

**კონტექსტუალური გავლენა (Contextual influences)** – ადამიანის გარემოცვაში არსებული ფაქტორი ან ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდზე.



**კრიტიკული აზროვნება (Critical thinking)** – პრობლემური სიტუაციის გაანალიზების, მოსაზრებების დასაბუთებისთვის არგუმენტებისა და კონტრაგუმენტების მოძიების, დასკვნის გაკეთების უნარი.

**კურიკულუმი (Curriculum)** – სასწავლო გეგმა (იხ. სასწავლო გეგმა).

- ✓ კურიკულუმის (ეროვნული სასწავლო გეგმის) ადაპტაცია – არ ცვლის, მაგრამ უმნიშვნელოდ ამარტივებს კურიკულუმის შინაარსს. კურიკულუმის ადაპტაცია, ძირითადად, გულისხმობს მასწავლებლის დროისა და დატვირთვის გაზრდას. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის დავალებების გამარტივებას და რაოდენობის შემცირებას.
- ✓ კურიკულუმის (ეროვნული სასწავლო გეგმის) აკომოდაცია – აკომოდაცია არ ცვლის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს, მაგრამ დამხმარე და გამაძლერებელი ტექნიკების და ტექნოლოგიების გამოყენებით ეხმარება მოსწავლეს იმ ბარიერების დაძლევაში, რომელიც ექმნება სწავლის დროს. დავალებების სირთულე და შინაარსი რჩება იგივე, რაც ზოგადად კლასისთვის. მოსწავლეს აქვს იგივე სასწავლო შედეგები, რაც ზოგად ეროვნულ სასწავლო გეგმაშია აღნერილი.
- ✓ კურიკულუმის (ეროვნული სასწავლო გეგმის) მოდიფიკაცია – მოდიფიკაცია ცვლის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების შემცინებითი შესაძლებლობების შესაბამისად. მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური, მოდიფიცირებული კურიკულუმის შესაბამისი სასწავლო შედეგები.

**კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასება (Curriculum based assessment)** – სასწავლო გეგმაში მითითებული ინსტრუქციების გათვალისწინებით შეფასება.

**კურიკულუმის (ეროვნული სასწავლო გეგმის) მოდიფიკაციის დონეები:** არსებობს კურიკულუმის მოდიფიკაციის სხვადასხვა

დონე: ადაპტაცია და აკომოდაცია. ინკლუზიურ განათლებაში, დამატებით გამოიყენება აგრეთვე მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ცნებაც.

## 8

**მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლება (Teacher-centered instruction)** – სწავლებისადმი ტრადიციული მიდგომა, სადაც მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლი მასალის შინაარსს, გეგმას, ახორციელებს სასწავლო გეგმებს და აფასებს მოსწავლის მიღწევებს. აღნიშნული მეთოდი, სწავლაზე მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მასწავლებელს.

**მაფორმირებელი შეფასება (Formative assessment)** – სწავლის პროცესის განვითარებაზე ორიენტურებული შეფასება. შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესება და სწავლის მეთოდების მორგება მოსწავლის საჭიროებებზე და არა უბრალოდ მოსწავლის მიღწევის დონის შემაჯამებელი შეფასება.

**მეტყველება (Speech)** – ენის ვოკალიზაციის, სამეტყველო ბგერების საშუალებით გადმოცემის პროცესი; მეტყველება არ წარმოადგენს ენის სინონიმს. ის არის ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს ინფორმაციის გაზიარება და აზრთა გაცვლა ადამიანებს შორის.

**მეტყველებისა და ენის თერაპია (Speech and language therapy)** – მეტყველებისა და კომუნიკაციური დარღვევების მკურნალობა. მკურნალობის სტრატეგია დამოკიდებულია დარღვევის ტიპსა და ეტიოლოგიაზე (იხ. ეტიოლოგია).

**მეტყველებისა და ენის თერაპევტი (ლოგოპედი) (Speech and Language Therapist)** – სპეციალისტი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია მეტყველების ნორმალური განვითარებისა და მისი დარღვევების ნებისმიერი გამოვლინების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონსულტაციისა და ინტერვენციის განხორ-

ციელებისთვის. მეტყველების და ენის თერაპევტმა იცის, თუ როგორ უნდა ასწავლოს მეტყველების განვითარების დარღვევის, მეტყველებაში პრობლემების, სმენის დარღვევისა თუ დაქვეითების მქონე მოსწავლეს.

**მექანიკური სწავლა** – სწავლა გამეორების და აღდგენის გზით სასწავლი მასალის მნიშვნელობის გააზრების გარეშე (მაგ., უაზრო მარცვლების ან სიტყვების დაზეპირება).

**მისაწვდომობა (Accessibility)** – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებაში, ბარიერებისგან თავისუფალი გარემო, რომელიც ინდივიდის სასწავლოს პროცესში მაქსიმალურ ჩართვას უზრუნველყოფს.

**მიღწევების ტესტი (Achievement Test)** – მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის ათვისების შეფასების ტესტი.

**მონიტორინგი (Monitoring)** – მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მიმდინარე ან დასრულებული საქმიანობის, პროექტის, პროგრამის თუ სხვა დაგეგმილი აქტივობის პროგრესის შეფასებას. მონიტორინგის მიზანია განსაზღვროს, თუ რამდენად არის მიღწეული დასახული მიზნები.

**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება (Student-centered teaching)** – მიღგომა, რომელიც ფოკუსირდება მოსწავლის საჭიროებაზე, შესაძლებლობაზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს, მოსწავლე არის აქტიური სწავლის პროცესში, იგი პასუხისმგებელია საკუთარ სწავლაზე და თავად აკეთებს არჩევანს, თუ რა ისწავლოს, როგორ ისწავლოს და რა მიზნით. მასწავლებელი განიხილება როგორც სწავლის პროცესის მიმართულების და გეზის მიმცემი.

## 6

**ნატიფი მოტორული უნარები (Fine motor skills)** – თვალის კუნთების ფაქტიზი და ხელის თითების ფალანგების წვრილი მოძ-

რაობები საგანთა ასაღებად, დასაჭერად წერისას, ხატვისას და ა.შ.

**ნიჭიერი ბავშვები (Gifted children)** – ბავშვები, რომელთაც ახასიათებთ განსაკუთრებული ინტელექტუალური შესაძლებლობები; შემოქმედებითი აზროვნების კარგად განვითარებული უნარი; ლიდერობისა და მართვის უნარი; აპსტრაქციის კარგად განვითარებული უნარი; კარგად განვითარებული ფსიქომოტორული უნარები; ინტერესების ფართო სპექტრი.

**ნორმა (Norm)** – საშუალო, ზოგადი ან სტანდარტული მდგომარეობა რაიმე კონკრეტულ პირობებში. ნორმა აღწერს საშუალო, ტიპურ ან ჩვეულებრივ მდგომარეობას (მაგ., ამა თუ იმ კონკრეტულის ასაკის ბავშვის მიერ მიღწევების ტესტში მიღებული საშუალო ქულა ან ახალშობილის საშუალო წონა).

**ნორმაზე დაფუძნებული ტესტები (Norm-referenced tests)** – ტესტები, რომელთა საშუალებითაც ხდება ინდივიდის ფუნქციონირების მაჩვენებლების შედარება იმავე ასაკის სხვა ინდივიდების მაჩვენებლებთან. მაგ. ბავშვის კითხვის უნარ-ჩვევების შედარება ამავე ასაკის ყველა სხვა ბავშვის კვლევაზე დაფუძნებულ მაჩვენებელთან.

**ნორმაზიაცია (Normalization)** – მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველდღიური ცხოვრება მაქსიმალურად უნდა შეესატყვისებოდეს საზოგადოების დანარჩენი წევრების ცხოვრების წესს.

## III

**ოპოზიციურ-დევიანტური ქცევა (Oppositional defiant disorder)**

– მტრული, დაუმორჩილებელი და აგრესიული ქცევა, განსაკუთრებით, ავტორიტეტულ პირებთან ურთიერთობისას. მოსწავლე, რომელსაც ოპოზიციურ-დევიანტური ქცევა ახასიათებს, არის ჯიუტი და დაუმორჩილებელი. უარს ამბობს დავალების და მითითების შესრულებაზე; გამუდმებით ეპასუხება უფროსებს;

ადვილად ღიზიანდება და გამოხატავს უარყოფით რეაქციებს; ანყობს ტანტრუმს; გამუდმებით სხვებს ადანაშაულებს და თავს იმართლებს; სკოლაში ხშირად მოსდის უთანხმოება სხვებთან; ცოტა მეგობარი ჰყავს და ა.შ.

## 3

**პირდაპირი სწავლება (Direct teaching)** – სწავლების ტრადიციული ფორმა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლის მიერ უნარ-ჩვევების ათვისება. პირდაპირი სწავლება მოითხოვს საგნის კარგად მცოდნე პირის მიერ მასალის მკაფიოდ, ლოგიკური ფორმითა და თანმიმდევრულად გადაცემას.

**პრაგმატული მეტყველება (Pragmatic language)** – მეტყველების გამოყენების უნარი. იმის გააზრება, თუ როდის და რა სიტუაციაში, რა უნდა ითქვას.

**პრობლემური ქცევის იდენტიფიკაცია (Problematic behavior identification)** – ინდივიდის ქცევაზე დაკვირვების შედეგად კონკრეტული ქცევის გამოყოფა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს ფუნქციონირებასა და სწავლაში. მისი აღწერა კონკრეტულ ტერმინებში ისე, რომ შესაძლებელი იყოს შემდგომში ქცევის სიხშირის, ინტენსივობის და ხანგძლივობის გაზომვა.

**პროფესიული განათლება (Vocational Education)** – პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ. პროფესიული განათლება ემსახურება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სხვადასხვა ხელობის დაუფლების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ დასაქმებას.

## ქ

**ჟესტი (Gesture, Sign)** – არავერბალური კომუნიკაციის ფორმა, რომლის დროსაც მეტყველების ნაცვლად ან მეტყველების პარალელურად სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით კი ხელის მოძრაობა და სახის მიმიკა გამოიყენება კონკრეტული შეტყობინების, ინფორმაციის გადმოსაცემად.

**ჟესტური ენა (Sign language)** – ენა, რომელზეც მეტყველებენ ყრუადამიანები და რომელშიც აკუსტიკური ბგერები ჩანაცვლებულია კონკრეტული ბგერის ან საგნის შესაბამისი ჟესტით. ტუჩების მოძრაობით, ჟესტიკულაციის ან სხეულის პლასტიკის საშუალებით ხდება ასოების, ცნებების და სიტყვების გადმოცემა. არსებობს ამერიკული ჟესტური ენა, ბრიტანული ჟესტური ენა, კანადური ჟესტური ენა და ა.შ

**რეგრესი-კომპენსაცია (Regression – recoupmant)** – საგანმანათლებლო სივრცეში ნასწავლი უნარ-ჩვევების დავიწყება ზაფხულის განმავლობაში, რაც ახალი სასწავლო წლიდან მასალის თავიდან სწავლის საჭიროებას წარმოშობს.

**რესურს-ოთახი (Ressource room)** – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც მისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის და აღჭურვილია მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით.

## ს

**საგანმანათლებლო შეფასება (Educational Assessment)** – ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების გაზომვის სისტემური პროცესი. შეიძლება შეფასდეს კონკრეტული მოსწავლე, მოსწავლეთა ჯგუფი, კლასი, მთელი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სისტემა.

**სამიზნე ქცევა (Target behavior)** – გამოყენებით ქცევით ანალიზში ეს არის ქცევა, რომელსაც ჭირდება დაკვირვება, გაზომვა და ჩანარი მისი შემცირების ან, პირიქით, გაზრდის მიზნით.

**სასიგნალო ქცევა (Alarming signals)** – მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ წინასწარ შეთანხმებული მინიშნებების თუ ქცევების ნაკრები, რომელსაც მასწავლებელი ან მოსწავლე სხვადასხვა შემთხვევაში მიმართვას. მაგალითად, ყურადღების მიქცევის, ქცევის კონფრონტის, კარნაზის და ა.შ. დროს. ეს შეიძლება იყოს რაიმე უესტი, მხარზე შეხება, სხვადასხვა ფერის გამაფრთხილებელი ბარათის ჩვენება და სხვ.

**სასწავლო გარემო (School environment)** – გარემო, რომელშიც შექმნილია პირობები და მობილიზებულია ყველა ადამიანური და მატერიალური რესურსი მოსწავლის სწავლისა და განათლებისთვის.

**სასწავლო მიზანი (Learning goal)** – მოსწავლის მიერ სწავლით შესაძენი წინასწარ განსაზღვრული შედეგი და ახალი გამოცდილება. იგი მოიცავს მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და ლირებულებების ერთობლიობას. სასწავლო მიზნებს განსაზღვრავს მასწავლებელი ან საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო პროცესის წებისმიერი მონაკვეთისთვის (გაკვეთილი, კვირა, ტრიმესტრი, სასწავლო წელი, სწავლის საფეხური და სხვა). სასწავლო მიზნების განსაზღვრა ეფუძნება მოსწავლეთა მისწრაფებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ანალიზის შედეგებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მონაცემები, შესაძლებლობები და ინტერესები.

**სწავლის სტილი (Learning styles)** – სწავლის ტიპი, რომელიც ყველაზე ეფექტურია კონკრეტული ინდივიდისთვის. არსებობს 4 ტიპის სწავლის სტილი: ვიზუალური, აუდიტორული, ტაქტიკური და კინეტიკური. ასევე არსებობს შერეული ფორმა.

**სატრენინგო მოდული (Training modules)** – თანმიმდევრული და ორგანიზებული საგანმანათლებლო მასალა, რომელშიც გაერ-

თიანებულია ძირითადი სამუშაო ტექსტები, მოკლე ჩანაწერები (პენდაუტები) სამუშაო შეხვედრებისთვის და სახელმძღვანელო ტრენერებისთვის. თითოეული მოდული ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ თემაზე, თუმცა მასალა შეიძლება განსხვავდებოდეს მონაწილეებისა თუ მიზნების შესაბამისად.

**საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისთვის მომზადება (Transition services)** – კოორდინირებული აქტივობების ერთობლიობა, რომლის მიზანია მოსწავლის მიერ სკოლიდან სკოლის შემდგომ ეტაპზე წარმატებული გადასვლის ხელშეწყობა. შესაძლოა მოიცავდეს დასაქმებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებსაც.

**სენსორული სტიმული (Sensory stimulus)** – მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური, პროპრიოცეპტული და სხვა გამლიზიანებელი, რომელიც მოქმედებს გრძნობათა ორგანოებზე.

**სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახის განათლება (Early childhood family education)** – სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახის წევრების განათლების პროგრამა, რომლის მიზანია ოჯახის მხარდაჭერა სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში.

**სკოლის ფსიქოლოგი (School Psychologist)** – ფსიქოლოგი, რომელსაც მიღებული აქვს საჭირო კვალიფიკაცია სასკოლო ასაკის ბავშვებთან საგანმანათლებლო, ემოციური და/თუ ქცევითი პრობლემების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონსულტაციისა და ჩარევის სტრატეგიის დაგეგმვისათვის. ის თანამშრომლობს განათლების სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, ჯანმრთელი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის და ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

**სოციალიზაცია (Socialization)** – პროცესი, რომლის საშუალებითაც ბავშვი იძენს პიროვნულ იდენტობას და ხდება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი. იგი ითვისებს ყველა იმ ნორმას, ღირებულებებს, ქცევებსა და სოციალურ უნარებს, რომელიც

მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს და რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ საკუთარი სოციუმის/თემის ცხოვრებაში მონაწილოება მიიღოს.

**სოციალური აღქმა (Social perception)** – კოგნიტური პროცესები, რომელთა საშუალებითაც სოციალურ გარემოში ადამიანები ერთმანეთს აღიქვამენ და იქმნიან შეხედულებს ერთმანეთზე.

**სოციალური კოგნიცია (Social cognition)** – პიროვნების მიერ სოციალური ინფორმაციის გადამუშავების პროცესი მოიცავს სოციალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის კოდირებას, შენახვას, აღდგენასა და სოციალურ სიტუაციებში გამოყენებას.

**სოციალური კომპეტენცია (Social competence)** – სოციალური უნარ-ჩვევები, რომელიც ადამიანს ეხმარება დაამყაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. .

**სოციალური მუშაკი (Social Worker)** – სპეციალისტი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა სისტემაში და დახმარებას უწევს ინდივიდებს, ოჯახებს და ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც სოციალურად გარიყულნი არიან ან რამე სახის (ფსიქოლოგიური, სოციალური, ჯანმრთელობის, ფინანსური) კრიზისს განიცდიან. მისი ფუნქციაა, დაეხმაროს ბენეფიციარებს კრიზისის დაძლევაში.

**სოციალური უნარ-ჩვევები (Social skills)** – ნებისმიერი უნარ-ჩვევა, რომელიც საჭიროა ადამიანებს შორის წარმატებული სოციალურ ურთიერთობისთვის. არსებობს როგორც ვერბალურ (მეტყველებით), ისე არავერბალურ სოციალური უნარები.

**სპეციალური განათლება (Special education)** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული სასწავლო მასალის გამოყენებით სპეციალურ სკოლაში ან კლასში.

**სპეციალური კლასი (Special Class)** – კლასი, რომელიც დაკომპლიქტებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებით.

**სპეციალური მასწავლებელი (Special Teacher)** – მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განახორციელოს სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად;

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (Special educational needs)** – სწავლის სირთულეები, ან შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში, რომლის დაძლევაც მოსწავლეს უჭირს.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი/მოსწავლე (Child/Student with special educational needs)** – ბავშვი/მოსწავლე, რომელსაც თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით სწავლაში სიძნელეები აქვს და საჭიროებს დამატებით/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის იდენტიფიკაცია და შეფასება (Identification and evaluation of children with special educational needs)** – იდენტიფიკაცია – იმ ბავშვების გამოვლენა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ განვითარების დარღვევა და/ან სწავლის სირთულეები; შეფასება – ამ დარღვევების ბუნების, ხარისხისა და მიზეზების განსაზღვრა.

**სპეციალური სკოლა (Special schools)** – სპეციალური სკოლები იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და სპეციალიზდება რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მიხედვით. მაგალითად, ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის და სხვა.

**სპონტანური სწავლა (Incidental learning)** – გარშემო მყოფ პირებზე დაკვირვებით ბავშვის მიერ ქცევებისა და უნარების ათვისება, მიზანმიმართული სწავლების გარეშე.

**სრული ჩართვა /სრული ინკლუზია/ (Full inclusion)** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სრულად ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. მოსწავლე ესწრება უკლებლივ ყველა გაკვეთილს და ყველა ამ გაკვეთილისთვის აქვს თავისი შესაძლებლობისა და საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**სსსმ მოსწავლის პორტფოლიო (Student's portfolio)** – კრებული, სადაც თავს იყრის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოსწავლის სწავლასა და განათლებას უკავშირდება. სსსმ მოსწავლის პორტფოლიოში შეიძლება მოცემული იყოს მისი სამედიცინო ისტორია, ისგ, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, რომლებიც ასახავენ მოსწავლის პროგრესს და ა.შ.

**სტანდარტიზებული ტესტები (Standardized tests)** – ტესტები, რომლებიც ტარდება დადგენილი და უცვლელი ინსტრუქციების, შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების მიხედვით.

**სტრუქტურირებული სწავლება (Structured teaching)** – გარემოსა და აქტივობების ვიზუალური ორგანიზების სისტემა, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლებს ეხმარება გაიგონ, თუ რას მოითხოვენ მათგან.

**სტრუქტურული დაკვირვება (Structured observation)** – დაკვირვების ტიპი, როდესაც დამკვირვებელი წინასწარ განსაზღვრავს სამიზნე ქცევას და შემდეგ აკვირდება მისი აღმოცენების სიხშირეს, ხანგრძლივობას და/ან ინტენსივობას.

**სწავლა (Learning)** – სწავლა წარმოადგენს ქცევაში ან კონკრეტული სახის ქცევის განხორციელების პოტენციალში მდგრად ცვლილებას, რომელიც პრაქტიკის ან სხვა ფორმით გამოცდილების მიღების შედეგია. ანუ სწავლა არის ძირითადი პროცესი, რომლის საშუალებითაც გარემო იწვევს მდგრად ცვლილებას ადამიანის ქცევაში.

**სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა (Constructivist approach)** – უფრო მეტად ფოკუსირებულია მოსწავლის მიღწევებსა და გაგების უნარზე, ვიდრე უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაზომვაზე. ასეთი მიდგომის დროს გამოიყენება მოსწავლის მიერ უკვე მიღებულ ცოდნა, რომელზე დაყრდნობითა და გაერთიანებით, ის ითვისებს ახალ ცოდნას და იღებს გამოცდილებას.

**სწავლების მეთოდები (Teaching methods)** – სასწავლო მასალის წარდგენის ან სასწავლო აქტივობების განხორციელების გზა, ტექნიკა. არსებობს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ლექციური მეთოდი, დისკუსია, აქტიური სწავლა, კომპერაციული სწავლება/მცირე ჯგუფებში მუშაობა, ინტეგრირებული სწავლება, კეთებით სწავლება და სხვა.

**სწავლის მოტივაცია (Learning motivation)** – მამოძრავებელი ძალა, რომელიც პასუხისმგებელია მიზანდასახული, ნებისმიერი ქცევის განხორციელების დაწყებაზე, მდგრადობასა და მიმართულებაზე. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით უკეთესია მათი სწავლის ხარისხი.

**სწავლის უნარის დარღვევა (Learning disability)** – ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციით გამოწვეული კითხვის, წერისა და მათემატიკური უნარების განვითარების სიძნელეები. სწავლის უნარის დარღვევა ვლინდება ინფორმაციის შენახვის, გადამუშავებისა და ახალი ინფორმაციის წარმოების დარღვევის სახით.

## 3

**უნივერსალური დიზაინი (Universal design)** – გარემოს, შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობა/ადაპტაცია და საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვა იმისთვის, რომ გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რომელთაც

აქვთ გადაადგილების სირთულე, სმენის ან მხედველობის დარღვევა და სხვა.

## ვ

**ფორმალური განათლება –** სტრუქტურირებული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესებს დაწყებითი განათლებიდან უმაღლეს განათლებამდე. შესაძლებელია, ფორმალურ განათლებაში ადგილი ჰქონდეს სპეციალურ პროგრამებს პროფესიული და ტექნიკური წვრთვნისთვის. ფორმალური განათლების ძირითადი უზრუნველმყოფელი დაწესებულებებია სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს მიღებული ელემენტარული ფორმალური განათლება.

## გ

**ქცევის განმტკიცება (Reinforcement of Behaviour) –** გარკვეული ქცევის სიხშირის, ინტენსივობის ან ხანგძლივობის გაზრდა ან შემცირება ჯილდოს, წახალისების ან იგნორირებისა და „დასჯის“ გამოყენებით. ან ახალი, სასურველი ქცევის სწავლება; განასხვავებენ ქცევის დადებით და უარყოფით განმტკიცებას. დადებითი განმტკიცების დროს ჯილდო, წახალისება ბავშვს მიეწოდება ქცევის განხორციელებისთანავე, რაც ზრდის სასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირეს, ხოლო უარყოფითი განმტკიცების დროს ბავშვი „ისჯება“ იგნორირებით ან მისთვის საურველი საქმიანობის აღკვეთით.

**ქცევითი ინტერვენციის გეგმა (Behaviour intervention plan) –** ქცევის შეცვლის, ახალი ქცევის სწავლების გეგმა, რომლის მიზანია კონკრეტული ადამიანის საჭიროებებისა და შესაძლებ-

ლობების გათვალისწინებით არასასურველი, პრობლემური ქცევების შემცირება და შეცვლა.

**ქცევის მოდიფიკაცია/ქცევითი თერაპია (Behavior modification/ Behavior therapy)** – ქცევის ცვლილება მიზანდასახული, თან-მიმდევრული ჩარევის გზით.

## 3

**ღია შეკითხვა (Open question)** – კითხვა, რომელზე პასუხიც ასენა-განმარტებას საჭიროებს. პასუხი ვერ გაიცემა რიცხობრივი მონაცემებით და ვერც სიტყვებით „დიახ“ და „არა“.

## 4

**ყურადღება (Attention)** – ცნობიერების მიმართვა გარკვეული საგ-ნისა თუ მოვლენისადმი გარკვეული დროის განმავლობაში. ობიექტის ნათლად და გარკვეულად განცდა.

**ყურადღების მოცულობა (Attention span)** – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ადამიანი კონცენტრირებულია დავა-ლებაზე გალიზიანებისა და ინტერესის დაკარგვის გარეშე.

## 5

**შეგრძნება (Sensation)** – გრძნობის ორგანოების სტიმულაციით გამოწვეული სუბიექტური განცდა.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი გარემო** – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გარემოში ბარიერების აღმოსაფხვრელად ხდება ადა-პტირება: ტრანსპორტის, საგზაო ნიშნებისა და ტროტუარის,

შენობების, კერძოდ, ტუალეტის, ლიფტის, მოსაცდელი ოთახის და ა.შ. საზოგადოებრივ ადგილებში, ჯამრთელობის და სარეაბილიტაციო ინსტიტუციებში პანდუსების, ბრაილის და აუდიტორული სასიგნალო სისტემების უზრუნველყოფა (PWD act, 1995).

**შემოქმედებითი აზროვნება (Creative thinking)** – ორიგინალური იდეებისა და ობიექტების წარმოდგენა და გამოგონება; ეს იდეები და ობიექტები არის მიმზიველი, საინტერესო, მნიშვნელოვანი ან სასარგებლო.

**შინ სწავლება/Home schooling/** – ფორმალური განათლების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ ესწრება გაკვეთილებს და იღებს განათლებას შინ სწავლების პროგრამის ფარგლებში.

**შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული (Work based learning)** – სწავლება და ტრენინგი სამუშაო ადგილზე, სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე და არა სასწავლო, საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## ჩ

**ჩანაცვლებითი ქცევები (Replacement behaviors)** – პრობლემური ქცევის ალტერნატიული, იმავე ფუნქციის მატარებელი, მაგრამ სოციალურად მისაღები ქცევა. მაგალითად: ყურადღების მიქცევის მიზნით, ყვირილის ნაცვლად, ხელის აწევა.

## ც

**ცნება (Concept)** – კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით განზოგადებული აბსტრაქტული აზრი. მოიცავს წარმოდგენებს საგნების, პროცესების შესახებ ან საგანთა შორის ურთიერთობებზე (მაგ., მაგიდა, ჭერი, ადამიანი, წვიმა, ოჯახი, ა.შ.)

## 6

**ნახალისების სტრატეგიები (Reinforcement Strategies – მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფისთვის შერჩეული ინდივიდუალური ნახალისების სტრატეგიები მისი/მათი სწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით. ნახალისების სტრატეგიები თითოეული აქტივობისთვის ან დავალების შესრულებისთვის განსაზღვრავს შესაბამის ჯილდოს, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური და/ან სოციალური).**

**წერისთვის მომზადების უნარები (Pre-writing skills) – სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყველა ის უნარი, რომელიც აუცილებელია სკოლის ასაკში წერის უნარ-ჩვევის ასათვისებლად. წერისთვის მოსამზადებელ უნარებად განიხილება წონასწორობა – დამოუკიდებლად ჯდომის და ჯდომისას ხელების თვისუფლად გამოყენების უნარი; მხრების, წინამხრებისა და მტევნების კონტროლი საწერი საშუალების ჭერისას; ნივთების ჩაჭიდება – ტაცება; ბილატერალური კოორდინაცია – ორივე ხელის ერთდროულად და კოორდინირებულად გამოყენება; თვალის და ხელის კოორდინაცია და ა.შ.**

**წინაპირობა-ქცევა-შედეგზე დაკვირვება (Antecedent – behavior – consequence observation) – გამოყენებითი ქცევითი ანალიზი ბავშვის პრობლემური ქცევის მაპროვოცირებელ მიზეზებზე და ქცევის შედეგზე დაკვირვებისა და ინფორმაციის მოძიების ტექნიკა.**

## 6

**ხანგრძლივი მეხსიერება (Long-term memory) – ინფორმაციის ხანგრძლივი დროით შენახვა.**

**ხანმოკლე მეხსიერება (Short-term memory) – ინფორმაციის შენახვა დროის შედარებით მცირე (მაგ., რამდენიმე წამი ან წუთი) ან უფრო ხანგრძლივი (მაგ., რამდენიმე საათი) პერი-**

ოდით. ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებად დაყოფა, ზუსტი დროითი ინტერვალის გამოყოფის შეუძლებლობის გამო, ხშირად გაუგებრობას წარმოშობს, თუმცა მეხსიერების დაზიანების კლინიკაში ინტენსიურად გამოიყენება.

**ხმის ძალა (Sound strength)** – ბგერის წარმოქმნისთვის ვოკალური აპარატისა და სუნთქვის გამოყენების უნარი ლაპარაკის დროს.



**ჯგუფური კითხვა (Choral reading)** – სხარტი კითხვის განვითარებაზე მიმართული სტრატეგია, როდესაც მასწავლებელი ახდენს სხარტი კითხვის მოდელირებას, ხოლო მოსწავლეები გუნდურად იმეორებენ.

**ჯგუფური მუშაობა (Group working)** – მონაწილეების (ჯგუფის წევრების) შეთანხმებული მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად. სწავლების ჯგუფური მეთოდი ხშირად და ეფექტურად გამოიყენება კლასში.

## განათლების თეორიები

### ბრუნერის თეორია (Jerome S. Bruner - Theory of Education)

- ამერიკელი ფსიქოლოგი ჯერომ ბრუნერი (Jerome S. Bruner, 1915) კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან საფუძველი ჩაუყარა კოგნიტური სწავლის თეორიას განათლების ფსიქოლოგიაში და განათლების ზოგად ფილოსოფიას. ბრუნერის მიღდომა სწავლებისადმი არის კონსტრუქტივისტული. ბრუნერის თეორიის მიხედვით, სწავლა არის აქტიური პროცესი, სადაც მოსწავლეები არსებული ცოდნის ბაზაზე ქმნიან ახალ იდეებსა და კონცეფციებს.

**პიაუეს შემეცნებითი თეორია (Jean Piaget – Theory of Cognitive Development)** შევეიცარიელი ფსიქოლოგის უან პიაუეს (Jean-Piaget, 1896-1980) თეორიის ამოსავალს წარმოადგენს მოსაზრება, რომ განვითარების პროცესში ბავშვი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოს ზეგავლენაზე, არამედ აქტიურად მოქმედებს და იძენს ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს გარემოსთან შეგუების პროცესში. ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნება ვითარდება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვების თვალსაზრისით, არამედ თვისებრივად იცვლება თვითშემეცნების პროცესიც. სწორედ ამიტომ, ბავშვის მიერ აღქმული სამყარო განსხვავდება მოზრდილის მიერ აღქმული სამყაროსგან.

### სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიღგომა (Constructivist Teaching Methods)

ამ მიღგომის მიხედვით, ადამიანები სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე, რის შედეგადაც უფრო რთული შემეცნებითი უნარები უვითარდებათ. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმი ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე. მოსწავლე სწავლის (ან შემეცნების) პროცესის აქტიური მონაწილეა.

**სოციალური კონსტრუქტივიზმი** – სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია განსაკუთრებულ ხაზს უსვამს სწავლას სოციალურ კონტექსტში და სხვებთან ურთიერთობით.

**გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ (Howard Gardner – Theory of Multiple Intelligence).**

ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ჰოვადრ გარდნერმა (Gardner, 1943-) განავითარა „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია,“ რომლის მიხედვით არსებობს 8 ერთმანეთისგან განსხვავებული ინტელექტის სახე და მისი შესაბამისი სწავლის სტილი. ინტელექტის ეს სახეებია: ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური.

**გოლმანის თეორია ემოციური ინტელექტის შესახებ (Daniel Goleman\_ Theory of Emotional Intelligence).**

ამერიკელი ფსიქოლოგი დანიელ გოლმანი (Goleman, 1946-) აყალიბებს თეორიას ემოციური ინტელექტის შესახებ, რომელიც არის ადამიანის უნარი გაიგოს საკუთარი გრძნობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი არ დგინდება გონიერივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტის ქონა, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტისა. განასხვავებენ ემოციური ინტელექტის ხუთ ძირითად უნარს: თვითშემეცნება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარ-ჩვევები.

**დიუს განათლების კონცეფცია (John Dewey – Educational Philosophy)** ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი ჯონ დიუ (Dewey, 1859-1952) არის პრო-

გრესული განათლების პრინციპების აქტიური იდეოლოგი. მისი განათლების კონცეფცია ეფუძნება ორ ძირითად ამოსავალს: (1) განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, რადგან გამოცდილება მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს და (2) განათლება სოციალური ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, რადგან სწორედ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით მიღწევა სოციალური პროგრესი.

**ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის მქონე ადამიანები – ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ვიზუალური (მხედველობით მოცემული) სამყაროს ზუსტი აღქმისა და ვიზუალური გამოცდილების გამოყენების კარგი უნარი.** ისინი ყველაზე კარგად სწავლობენ ვიზუალური წარმოდგენების (ხატი, ფერები, სურათები, გრაფიკული ნახატები) საშუალებით და იყენებენ მათ ხელოვნების დარგში სხვადასხვა საქმიანობის დროს (იხ. გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ).

**ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანები – ინტელექტის ამ ტიპის ადამიანებს აქვთ საკუთარი სამუშაოს კარგად დაუფლებისა და სხვების მოტივირების უნარი. მათ შეუძლიათ სხვათა გრძნობების, ხასიათისა და სურვილების თანაგანცდა. თანაუგრძნობენ სხვებს, ესმით მათი „გასაჭირი,“ ხშირად ასრულებენ მედიატორის ან ლიდერის როლს ამა თუ იმ კონფლიქტის მოგვარებაში. ისინი ყველაზე კარგად სხვებთან ურთიერთობისას სწავლობენ (იხ. გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ).**

**ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანები – ამ ტიპის ინტელექტის მქონე ინდივიდებს აქვთ საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის პროცესის მართვის უნარი. ისინი კარგად იცნობენ საკუთარ თავს, კარგად ხვდებიან რა სურთ და ცდილობენ საკუთარი მიზნების განხორციელებას. ეს ეხმარება მათ და გადაწყვეტილების მიღების დროს არსებულ ცოდნას სწორად იყენებენ. ასეთი ტიპის ადამიანებს უყვართ მარტო და დამოუკიდებლად მუშაობა. ისინი ყველაზე კარგად „მარტო“**

სწავლობენ (იხ. გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ).

### **კოლბის თეორია სწავლის სტილის შესახებ (David Kolb – Experiential Learning Theory (learning styles) Model)**

განათლების ამერიკელი სპეციალისტი დევიდ კოლბი (Kolb, 1939-) გვთავაზობს ზრდასრულთა სწავლის თეორიას, ე.წ. „ზრდასრულთა სწავლის ციკლს,“ რომელიც აღნერით ხასიათისაა. ამ ციკლის მიხედვით, არსებობს სწავლის ოთხი საფეხური, რომელიც ერთმანეთს მოსდევს. სწავლა იწყება კონკრეტული გამოცდილების მიღებით, რომელსაც მოსდევს ამ გამოცდილების გაცნობიერება უკვე არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით (პიროვნული რეაქციებია).

აქტიურად მოქმედი ინდივიდი სწავლობს კეთებით, ქმედებით. უპირატესობას ანიჭებს ახალ, საინტერესო გამოცდილებას. იგი აქტიურად ერთვება პროექტებში, ჯგუფურ დისკუსიებში, პრობლემების გადაწყვეტაში, თამაშებში და სიმულაციებში. მისი ძირითადი ფილოსოფიაა „ერთხელ ყველაფერი უნდა სცადო.“ პრაგმატისტი სწავლობს აზროვნებით, ფიქრით. მას ახასიათებს იდეების, თეორიების გადასინჯვა, რათა დარწმუნდეს მათ ჭეშმარიტებაში. ცდილობს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვას, უყვარს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა და დამოუკიდებლად სწავლა. ხშირად სვამს კითხვას: „როგორ შემიძლია ამის პრაქტიკაში განხორცილება?“ მისი ძირითადი ფილოსოფიაა – „თუკი პრაქტიკაში ამართლებს, ე.ი. კარგია.“ თეორეტიკოსი სწავლობს დაკვირვებით და განტვრეტით. მისთვის იდეები ძალზედ მნიშვნელოვანია, ხშირად სვამს კითხვას „ამას აქვს აზრი?“, სწავლის დროს ახასიათებს ანალიტიკური, კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ლოგიკურ აზროვნებას და რაციონალურ შეფასებას. ის უკეთ საწავლობს დირექტივების საშუალებით, როდესაც მეტი ყურადღება ეთმობა თეორიებს და სისტემურ ანალიზს. მისი ძირითადი ფილოსოფიაა – „თუ ლოგიკურია, ე.ი. კარგია.“ რეაქციურად მოაზროვნე სწავლობს შეგრძნებებსა და გამოცდილებაზე

დაყრდნობით. მისთვის ჯგუფში და წყვილებში მუშაობით მიღებული გამოცდილება ყოველთვის შედეგიანია, მას აინტერესებს ადამიანებთან ურთიერთობის ემოციური ელემენტები. მისი ძირითადი ფილოსოფიაა – „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი.“

**კოლბერგის მორალურობის განვითარების თეორია (Lawrence Kohlberg – Theory of Moral Development).** ამერიკელი ფსიქოლოგის, ლოურენს კოლბერგის (Kohlberg, 1927-1987) თეორია იყვლევს თუ როგორ ხდება ადამიანის მორალური განვითარება. ამ უკანასკნელს აინტერესებს პიროვნების უნარი აღიქვას და გაიგოს სხვა ადამიანების განსხვავებული პერსპექტივები. როლური უნარჩვევების განვითარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორალური განვითარების ერთ-ერთი ადრეული საფეხური. მორალურობის განვითარება იწყება 12 წლიდან, როდესაც მოზარდისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს „საკუთარი თავის იდენტურობის“ ფორმირება. ბავშვი სვამს კითხვებს: „ვინ ვარ მე?“, „რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში?“ იგი იწყებს საკუთარი სოციალური კოგნიციის გაგებას, ანუ ცდილობს გაიგოს, თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები.

**პერკინსის თეორია სწავლის შესახებ (David Perkins –Theory of Intelligence).** განათლების სპეციალისტის, დევიდ პერკინსის (Perkins, 1992) „თეორია ერთი“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომელიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი იმას სწავლობს, რისი სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. „თეორია ერთის“ მიხედვით, რაიმეს კარგად შემეცნება მოითხოვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას: **ნათელი ინფორმაცია:** მიზნების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა; **შემეცნებითი პრაქტიკა:** აქტიური და სააზროვნო პროცესებით დატვირთული პრაქტიკა იმ საგანში, რასაც მოსწავლე სწავლობს;

## როჯერსის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება (Carl Rogers – Theory of Personality)

ამერიკელი ფსიქოლოგი კარლ როჯერსი (Carl Rogers, 1902-1987) არის ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. მან ჩამოაყალიბა მოსწავლის გამოცდილებაზე დაფუძნებული (Student centered learning) სწავლების იდეა, როდესაც სწავლების პროცესში მაქსიმალურად ხდება მოსწავლის სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინება. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლე თვითონ არის აქტიური და ინიციატივიანი.

## სოციალურ-კოგნიტური თეორია /ბანდურა, მიშელი/ (Social Cognitive Theory)

სოციალურ-კოგნიტური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ალბერტ ბანდურას (Albert Bandura, 1925-) და უალტერ მიშელის (Walter Mischel, 1930-) მიხედვით, სწავლა და განვითარება ეფუძნება არა მხოლოდ პირად გამოცდილების შექნის პროცესს, არამედ, უმეტესად, სხვა ადამიანთა ქცევაზე დაკვირვებასა და მოდელირებას. სწავლა დაკვირვების საშუალებით ნიშნავს სხვა ადამიანზე დაკვირვების შედეგად ქცევის რთული ნიმუშების ათვისების უნარს. ამ უნარის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ განჭვრიტონ ქცევის შესაძლო შედეგები (სხვის მაგალითზე) და თავიდან აიცილონ არასასურველი შეცდომები.

## სელმანის თეორია სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესახებ(Robert Selman \_ Social Skills Development Theory)

ამერიკელი ფსიქოლოგის, რობერტ სელმანის (Robert Selman, 1980) თეორია ეხება სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. მისი აზრით, ადამიანის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული როლური უნარ-ჩვევების – მოვლენათა სოციალური კონტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვა-

დასხვა კუთხიდან ხედვის და შეფასების უნარის განვითარებაზე. სხვის როლში შესვლის უნარის არქონა ბავშვის ხელს უშლის დაინახოს მოვლენები სხვა ადამიანის პერსპექტივიდან. გარდა ამისა, სხვის როლში შესვლის უნარის გარეშე ბავშვის უჭირს სხვა ადამიანის გრძნობებისადმი ემპათიის გამოხატვა. ეს უნარი ვითარდება ბავშვის ასაკობრივ ზრდასთან ერთად.

### **სწავლების პიჰევიორისტული მიდგომა /ბ. ფ. სკინერის / (Burrhus Frederic Skinner -Behaviorism).**

პიჰევიორიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ამერიკელი ფსიქოლოგის, სკინერის (*Burrhus Frederic Skinner, 1904-1990*) მიხედვით, ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება გარე ფაქტორებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი სოციალურ გარემოში იძენს. პიროვნული თავისებურებების მიუხედავად, ბავშვს შეუძლია ნებისმიერი ქცევის სწავლა, თუ მას სათანადო განმტკიცება მოჰყვება. სკინერმა ექსპერიმენტის საფუძველზე დაადგინა, რომ ქცევის წარმატება/წარუმატებლობა განსაზღვრავს მოხდება თუ არა ამ ქცევის სწავლა. სწავლის ამ ფორმას სკინერმა ინსტრუმენტული სწავლა უწოდა. ინსტრუმენტულ სწავლას საფუძვლად უდევს ორგანიზმის აქტიური მოქმედებები გარემოში. თუ რაიმე შემთხვევითი მოქმედება სასარგებლო აღმოჩნდება, მისი განმტკიცება ხდება მიღწეული შედეგით.

**სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტის მქონე ადამიანები –** ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ სხეულის მართვის, მისი მოძრაობების გაკონტროლებისა და შეცვლის კარგი უნარი. ამ ტიპის ადამიანებს კარგად ეხერხებათ ფიზიკური აქტივობები. ისინი ყველაზე კარგად „კეთების“ პროცესში, ანუ აქტიური სწავლებით, მოძრაობებით და სამუშაოს ხელით შესრულების დროს სწავლობენ (იხ. გარდნერის თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ).

უზნაძის მიღები თამაშისა და სწავლაზე – ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე (1886-1950წ.წ.) თავისი თეორიის ფარგლებში აშუქებს ბავშვის თამაშისა და სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ფუნქციას.

უზნაძის აზრით, მოძრაობა, აქტიურობა ყველა ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობაა. ცოცხალი ორგანიზმის ასამოქმედებლად მასზე რაიმე გამღიზიანებელის ზემოქმედება აუცილებელი არ არის. ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი თავისებურებაა მასში არსებული ძალების მოქმედება, აქტივობა. ამ თავისებურებას უზნაძე ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებს.

დ. უზნაძის თეორიის თანახმად, თამაშის ძირითად არსს ბავშვის შესაძლებლობათა აქტივაცია წარმოადგენს. კერძოდ, ბავშვი არა მხოლოდ იმ ძალებითაა აღჭურვილი, რომელიც ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ იმ ძალებითაც, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომელიც მნიშვნელოვანი იქნება განვითარების შემდგომ ეტაპებზე.

## თავი II

### SAMEDICINO TERMINEBI, DIAGNOZEBI DA CNEBEBI

#### 5

**აბილიტაცია (Habilitation)** – სხვადასხვა სპეციალური პროგრამის, აქტივობის, მიდგომის გამოყენებით, ახალი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

**აგნოზია (Agnosia)** – (ბერძნ. a უარყ. ნაწ., gnosis შემეცნება, ცოდნა) – საგანთა, ადამიანთა და მოვლენათა ცნობის უნარის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა, რაც თავის ტვინის ქრექის სხვადასხვა სახის დაზიანებითაა გამოწვეული. არჩევენ აგნოზის სმენით, მხედველობით, ტაქტილურ ( ანუ შეხებით) და სხვა ფორმებს. აგნოზიას არ იწვევს სენსორული პრობლემები (მაგ. მხედველობის ან სმენის დარღვევა), ყურადღების კონცენტრაციის ან საგანთა და მოვლენეთა დასახელების უუნარობა.

**აგრაფია (Agraphia)** – (ბერძნ. a უარყ. ნაწ., grapho ვწერ) – თავის ტვინის სხვადასხვა წარმოშობის დაზიანების თუ დისფუნქციის შედეგად წერის უნარის დარღვევა. აგრაფია, ჩვეულებრივ, თან ახლავს აფაზიას (იხ. აფაზია) და ალექსიას (იხ. ალექსია), თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება სხვა ლინგვისტური დარღვევების გარეშეც გამოვლინდეს.

**აკალკულია (Acalculia)** – თავის ტვინის დაზიანების შედეგად ანგარიშის უნარის შექენილი დარღვევა. ხშირად თან ახლავს ალექსია (იხ. ალექსია) და რიცხვების აგრაფია (იხ. აგრაფია). აკალკულიის დროს ირღვევა როგორც წერითი, ასევე ზეპირი ანგარიშის უნარი. აკალკულიის მსუბუქი ფორმების შემთხვევაში, მარტივი ოპრეაციების განხორციელება, როგორიცაა

მიმატება-გამოკლება, ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუმცა გამრავლება-გაყოფის ოპერაციები მთლინად შეუძლებელია.

**ალალია (Alalia)** – რუსული ლოგოპედური სკოლის კლასიფიკაციის თანახმად, მეტყველების განვითარების პროცესის დარღვევა; ახასიათებს მეტყველების განვითარების ნელი ტემპი ან მეტყველების უუნარობა.

**ალექსია (Alexia)** – (ბერძნ. a უარყ. ნან., lexis სიტყვა) – თავის ტვინის დაზიანების ან დისფუნქციის შედეგად კითხვის უნარის შეძენილი დარღვევა. ჩვეულებრივ, ვლინდება როგორც აფაზიის (იხ. აფაზია) ერთ-ერთი სიმპტომი.

**ანორექსია (Anorexia)** – კვებითი აშლილობის ფორმა, რომელიც ვლინდება საკვების მიღების სურვილის შესუსტების ან სრული დაკარგვის სახით.

**ანოქსია (Anoxia)** – სხეულის რომელიმე ნაწილის ქსოვილში ან მის მკვებავ სისხლძარღვთა სისტემაში უანგბადის ნაკლებობა.

**ასპერგერის სინდრომი (Asperger syndrome)** – /აუტისტური სპექტრის დარღვევა/ – მდგომარეობა, როცა ადამიანს განვითარებული მეტყველება და ნორმალური ინტელექტი აქვს, მაგრამ უჭირს კომუნიკაცია, ახასიათებს წესებისა და რიტუალების აკვიატებული დაცვა, უცნაური, ექსცენტრული ქცევა.

**აპრაქსია (Apraxia)** – თავის ტვინის დაზიანების შედეგად, ნასაკავლი, მიზანდასახული მოძრაობების განხორციელების უუნარობა.

**არტიკულაციის სპეციფიკური დარღვევა** – მეტყველებითი ბგერების წარმოთქმის პრობლემები, რის გამოც ბავშვი ამახინჯებს ცალკეულ ბგერებს, მეტყველებისას ტოვებს ასოებს, ამატებს ან ცვლის ერთ ბგერას მეორეთი. ამ შეცდომების გამო ბავშვის მეტყველება ხშირად გაუგებარია გარშემო მყოფთათვის. არტიკულაციის სპეციფიკური დარღვევა არ იწვევს მეტყველების განვითარების დარღვევას.

**ატაქსია (Ataxia)** – (ბერძნ. a უარყ. ნან., taxis განლაგება, განრიგი, წესრიგი) – ნებისმიერ მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევა. ვლინდება როგორც მოძრაობის, ასევე დგომის დროს.

**ატიპიკური აუტიზმი (Atypical autism)** – განვითარების პერვასიული აშლილობა, რომელიც აუტიზმისგან განსხვავდება დაწყების ასაკით, ან არ ვლინდება აუტიზმის ყველა დიაგნოსტიკური კრიტერიუმის სამივე სფეროში (მეტყველება, კომუნიკაცია, სტერეოტიპული ქცევა).

**აუდიოგრამა (Audiogram)** – არსებული სმენის ვიზუალური რეპ-რეზენტაცია. აუდიოგრამა გრაფიკულად ზომავს სმენის შემ-დეგ სიხშირეებს: 250Hz 500 Hz 1000Hz 2000Hz 4000Hz 6000Hz and 8000Hz. ბგერების დახასიათება შესაძლებელია მათი სიხშირის (სიმაღლის) და ინტენსივობის (ხმამაღლა, ხმადაბლა) ტერმინებით. სიხშირე იზომება პერცეპში (Hz). ინ-ტენსივობა, ანუ ხმამაღლობის ან ხმადაბლობის მაჩვენებელი, იზომება დეციბელებში (dB).

**აუდიოლოგია (Audiology)** – მეცნიერება სმენის შესახებ. კავშირ-შია სმენის ეტიოლოგიასთან, სმენის დაქვეითების იდენტიფი-კაციასა და შეფასებასთან, ასევე სმენის დაქვეითების მქონე პირთა სარეაბილიტაციო მომსახურებასთან.

**აუდიოლოგი (Audiologist)** – შესაბამისი განათლების მქონე სპე-ციალისტი, რომელიც სმენას აფასებს და სმენის დაქვეითების მქონე პირებს სთავაზობს სარეაბილიტაციო მომსახურებას.

**აუტიზმი (Autism)** – თავის ტვინის განვითარების ნეირობიოლო-გიური დარღვევის შედეგი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახ-დენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვთ სოციალური უნარების, კომუნიკაცი-ის, მეტყველებისა და ქცევის განვითარებაში.

**აფაზია (Aphasia)** – (ბერძნ. α ψαρψ. ნაწ., phasis მეტყველება) – მეტყველების დარღვევა თავის ტვინის დაზიანების შედეგად. ხასიათდება დასახელების, ვერბალური მოქნილობის, გაგებისა და გამეორების, ასევე წერისა და კითხვის სხვადასხვა სახის აშლილობებით. არსებობს აფაზიის ბევრი ფორმა თავის ტვი-

ნის დაზიანების ლოკალიზაციის, მეტყველების დარღვეული ფუნქციისა და ფორმის მიხედვით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აფაზია ვითარდება მაშინ, როდესაც პაციენტს თავის ტვინის დაზიანებამდე მეტყველების განვითარების პრობლემა არ აღენიშნებოდა.

## 8

**ბავშვობის დეზინტეგრაციული აშლილობა (Childhood disintegrative disorder)** – მიეკუთვნება პერვესიული (ყოვლისმომცველი) აშლილობების ჯგუფს და ხასიათდება სულ მცირე 2 წლის ასაკამდე მეტყველების, კომუნიკაციური უნარების, თამაშისა და ადაპტაციური ქცევების ნორმალური განვითარებით, შემდგომ კი მეტყველებისა და კომუნიკაციის შეძენილი უნარების, თამაშისა და ადაპტაციური ქცევების უეცარი ან თანდათანობითი დაკარგვით.

## 8

**განვითარების შეფერხება (Developmental delay)** – ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ, ქცევით, ემოციურ ან სოციალურ განვითარებაში ასაკაბოვრივ ნორმასთან (თანატოლებთან) შედარებით, განვითარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა (შეფერხება, შენელება).

**გოლდენჰარის სინდრომი (Goldenhar syndrome)** – იშვიათი თანდაყოლილი სინდრომი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყურის, ცხვირის, რბილი სასის, ტუჩების და ქვედა ყბის არასრული განვითარება.

**გონებრივი ჩამორჩენილობა (Intellectual Disability)** – ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა. აღნიშნული მდგომარეობა თავს იჩენს ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ განვითარებასა

და ჩვევების ჩამოყალიბების პროცესზე. გონებრივ ჩამორჩენილობას ახასიათებს ინტელექტუალური ფუნქციონირების დაქვეითება და ადაპტაციური უნარების (კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა) ორი ან მეტი სფეროს დარღვევა.

**გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხები:**

- ✓ **მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა /IQ 50-69/ (Light Intellectual disability)** გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა, როდესაც:
  - მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9-12 წელს;
  - ვლინდება ნორმალური სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უნარი.
- ✓ **საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა/IQ 36-49/ (Intellectual disability)** – გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა, როდესაც:
  - მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 6-9 წელს;
  - ირღვევა თვითმომსახურების უნარები;
  - უმრავლესობას შეუძლია შეიძინოს ადეკვატური კომიუნიკაციური და საბაზო აკადემიური უნარები;
  - საჭიროებს სხვადასხვა დონის დახმარებას საზოგადოებაში ცხოვრებასა და მუშაობისთვის.
- ✓ **ძიმი გონებრივი ჩამორჩენილობა/IQ 20-49/ (Severe Intellectual disability)**) – გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა, როდესაც:
  - მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3-6 წელს;
  - ჩვეულებრივ საჭიროებს მუდმივ დახმარებას.
- ✓ **ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა /IQ 20-ზე ნაკლებია/ (Profound Intellectual disability))** – გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა, როდესაც:

- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3 წლამდე ასაკს;
- ვლინდება თვითმომსახურების, გადაადგილების და კომუნიკაციის მძიმე დარღვევები.

**გ**

**დაუნის სინდრომი (Down Syndrome)** – ქრომოსომული დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანს 46 ქრომოსომის ნაცვლად აქვს 47 ქრომოსომა (21-ე ქრომოსომაზე წყვილის ნაცვლად არის სამი ქრომოსომა). ზედმეტი ქრომოსომა იწვევს დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ თავისებურებებს. დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელი ყველაზე გავრცელებული ფიზიკური ნიშნებია: კუნთთა დაბალი ტონუსი-ჰიპოტონია; სახის ბრტყელი პროფილი; ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი, პატარა ცხვირი; თვალის ირიბი ჭრილი; დეფორმირებული ყური; მოკლე, ფართო ხელები, ხელისგულზე ერთი ღრმა ხაზი; მე-5 თითზე ორის ნაცვლად ერთი მოსახრელი სახსარი; დიდი დაშორება ფეხის დიდ და მეორე თითს შორის; პირის პატარა ზომა; პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა; განიერი ტერფი პატარა თითებით; მოკლე კისერი; პატარა თავი; ეპიკანტუსი – თვალების შიდა კუთხეში კანის პატარა ნაოჭი. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია: გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის გადამუშავების პრობლემები, ბავშვობის პერიოდის ლეიკემია, მხედველობის და სმენის დარღვევები. დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა.

**დიზონტოგენეზი (Dysontogenesis)** – [ძერძნ. dys- დარღვეული, მანკიერი, (on ნათ.ontos) არსება, genesis ნარმოშობა] – ონტოგენეზის დარღვევა, ინდივიდის ნორმალური განვითარების დარღვევა ანუ ანომალური განვითარება განპირობებული ენდო და ეგზოგენური ფაქტორებით.

**დისლექსია (Dyslexia)** – დისლექსია, ვიწრო მნიშვნელობით, კითხვის უნარის დარღვევა, ხოლო ფართო მნიშვნელობით, მეტყველებით გაშუალებული სწავლის უნარის დაქვეითება, რომელიც ხასიათდება კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების პრობლემებით.

**დისლექსიის სახეები (Types of Dyslexia):**

**დისეიდეტური დისლექსია (Dyseidetic dyslexia)** – სიტყვის, როგორც მთლიანობის, აღქმისა და წაკითხვის დარღვევა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია სიტყვების ვიზუალური კონფიგურაციის ცნობა, თუმცა შესაძლებელია ფონეტიკური ანალიზი.

**დისფაზია (Dysphasia)** – თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული მეტყველების დარღვევა, ლაპარაკისა და სხვისი ნათქვამის გაგების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობა.

**დისფონეტიკური დისლექსია (Dysphonetic dyslexia)** – ასოსა და ბგერას შორის მიმართების გაგების სიძნელე. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სიტყვის ფონეტიკური ანალიზის (ფონეტიკური დეკოდირება/კოდირების) დარღვევას, სიტყვის წაკითხვა ვიზუალური ნიშნების მიხედვით ხდება.

**შერეული დიფონეტიკური—დისეიდეტური დისლექსია (Mixed dyseidetic-disphonetic dyslexia)** – როგორც სიტყვაში ასოსა და ბგერას შორის მიმართების გაგებისა და იდენტიფიკაციის, ასევე სიტყვის, როგორც ვიზუალური მთლიანობის აღქმისა და წაკითხვის უნარის დარღვევა.

**L-ტიპის დისლექსია (L-type dyslexia)** – კითხვისას დარღვეულია მარჯვენა ჰემისფეროსთვის დამახასიათებელი სტრატეგიების გამოყენება, ამ ტიპის დისლექსიის მქონე ადამიანები კითხვისას უპირატესად ლინგვისტურ (ფონოლოგიურ) სტრატეგიას მიმართავენ. ისინი კითხულობენ სწრაფად, მაგრამ არაზუსტად და ასოების გამოტოვებით.

**P-ტიპის დისლექსია (P-type dyslexia)** – კითხვისას დარღვეულია მარცხენა ჰემისფეროსთვის დამახასიათებელი სტრატეგიების გამოყენება. ამ ტიპის დისლექსიის მქონე ადამიანები კითხ-

ვისას უპირატესად ვიზუალურ-სივრცით სტრატეგიას მიმართავენ. ისინი კითხულობენ ნელა, ფრაგმენტულად, მაგრამ ზუსტად.

**დისფუნქცია (Dysfunction)** – ორგანოს ანომალიური ან არასრულყოფილი ფუნქციონირება.

## 3

**ეგოცენტრიზმი (Egocentrism)** – მხოლოდ საკუთარ „მე”-ზე ზრუნვა და/ან საკუთარ საჭიროებებსა და სურვილებზე კონცენტრირება.

**ემოციური სფეროს დარღვევები (Emotional disorders)** – დარღვევა, რომელიც პირველ რიგში გავლენას ახდენს ქცევაზე, გუნება-განწყობილებასა და ემოციებზე.

**ეპილეფსია (Epilepsy)** – [ბერძნ. epilepsia დაჭრა, შეტევა, (epi-lambano ხელს ვტაცებ, ვიჭერ)] – თავის ტვინის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება განმეორებითი ეპილეფსიური გულყრებით.

**ეპილეფსიური გულყრა** – გულყრები მრავალფეროვანია და შეიძლება ჰქონდეს კრუნჩების, ცნობიერების შეცვლის, ფსიქო-მოტორული აღგზნების, მგრძნობელობის, ემოციური და ვეგეტატიური ფუნქციების მოშლილობის სახე.

**ეტიოლოგია (Etiology)** – [ბერძნ. Aitia (aetia) მიზეზი, logos მოძღვრება] – 1. მოძღვრება დაავადების წარმომშობი მიზეზებისა და პირობების შესახებ; 2. ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიზეზები.

**ექოლალია (Echolalia)** – სხვისი ნათქვამი სიტყვების ან ფრაზების უნებლიერ გამეორება.

**ვერბალური დისპრაქსია (Verbal dyspraxia)** – მეტყველების მოტორული დარღვევა, რაც ვლინდება სამეტყველო აპარატის კუნთების მოქმედების პროგრამირების დარღვევაში. ვერბალური დისპრაქსიის მქონე ბავშვს უჭირს ბგერების, მარცვლებისა და სიტყვების გამოთქმა, რადგან არ შეუძლია პირისთვის (მაგ. ტუჩები, ენა, ნიკაპი) მეტყველებისთვის საჭირო პოზის მიცემა. ამის შედეგად ბავშვები ვერ აერთიანებენ ბგერებს მარცვლებში და მარცვლებს სიტყვებში.

**ვესტიბულარული აპარატი (Vestibular apparatus)** – შიდა ყურის სისტემა, რომელიც აფიქსირებს სხეულის მოძრაობასა და პოზის ცვლილებებს.

**ვესტიბულარული სისტემა (Vestibular system)** – სენსორული სისტემა რომელიც პასუხისმგებელია წონასწორობაზე, სივრცეში ორიენტაციასა და მოძრაობებზე.

**ვილიამსის სინდრომი (Williams syndrome)** – ნეიროგანვითარების იშვიათი გენეტიკური დარღვევა, რომელსაც იწვევს მე-7 ქრომოსომაზე გენეტიკური მასალის ნაკლებობა იმ გენის ჩათვლით, რომელიც ცილის ელასტინს ქმნის. მისთვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული „ელფისებური“ სახე და დაბალი ცხვირის ძალი, ქცევის უჩვეულოდ მხიარული მანერა და უცხო ადამიანებთან კონტაქტის ადვილი დამყარება. ასევე სინდრომისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა უნარის არათანაბარი განვითარება, რაც განვითარების შეფერხების და/ან სწავლის უნარის დარღვევის სახით ვლინდება და კომპინირებულია კარგად განვითარებულ ექსპრესიულ მეტყველებასთან. ვილიამსის სინდრომის მქონე პირებში ხშირია კარდიოვასკულარული პრობლემები.

## თ

**თანდაყოლილი (born)** – დაბადებისას არსებული.

**თანდაყოლილი დარღვევა (Congenital disorder)** – მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფის დაზიანების შედეგი. შესაძლოა გამონვეული იყოს გენეტიკური ან ქრომოსომული ანომალიით ან თავად საშვილოსნოში არსებული პრობლემით. დარღვევის შედეგები ბევრადაა დამოკიდებული დაზიანების სიმძიმესა და დაბადების შემდგომი გარემოს რთულ ურთიერთქმედებაზე.

**თვალი-ხელის კოორდინაცია (Eye-Hand coordination)** – თვალის მოძრაობის ხელის მოძრაობასთან კომპინირების უნარი. მხედველობის საშუალებით ხელების მოძრაობის კონტროლი.

**თვით-მასტიმულირებელი ქცევა (Self-stimulatory behavior)** – განმეორებადი, სტერეოტიპული, ფუნქციურად დამოუკიდებელი ქცევა, როგორიცაა რწევა, ხელის ან მკლავის ქნევა, თვალის სრესა და ა.შ.

**თვითმიმართვა (Self-referencing)** – საკუთარი გამოცდილების, როგორც ინფორმაციის წყაროს გამოყენება.

## ი

**იდიოპათიური (Idiopathic)** – სპონტანური და/ან უცნობი წარმოშობის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე სხვა დაავადების ან ტრამვის შედეგს.

**ინტერვენცია (Intervention)** – საჭიროების შემთხვევაში, პიროვნებისათვის განეული პრევენციული, სამკურნალო, კომპენსატორული ან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურება.

3

**კროს-მოდალური (Cross-Modal)** – ერთზე მეტი მეთოდის მომცველი.

**კრუნჩხვა/გულყრა (Seizures)** – წარმოიშობა თავის ტვინის ქერქული ნეირონების უეცარი, ძლიერი და ჰიპერსინქრონული განმუხტვის შედეგად. გამოყოფენ კრუნჩხვის ორ ძირითად ჯგუფს: ფოკალური ანუ პარციალური გულყრები, რომლის დროსაც საწყისი განმუხტვა დაკავშირებულია თავის ტვინის ერთი ჰემისფეროს ამა თუ იმ უბანთან და გენერალიზებული გულყრები, რომელიც სიმულტანურად ახდენს გავლენას ორივე ჰემისფეროზე.

4

**მემკვიდრეობითი (Heredity)** – მშობლებისგან, ერთი გენის ან გენების კომპლექსით გადაცემული დამახასიათებელი ნიშნები.

**მხედველობის დარღვევა (Vision impairment):** მხედველობის დარღვევა ან სუსტი მხედველობა ნიშნავს, რომ სათვალეების, კონტაქტური ლინზების, სამედიცინო და თავად ქირურგიული ჩარევის შედეგადაც კი, ადამიანს უჭირს დანახვა. მხედველობის დარღვევა მოიცავს არეალს მხედველობის სუსტი დაქვეითებიდან სრულ უსინათლობამდე.

**მხედველობითი /ვიზუალური/ დაცვა (Visual defensiveness) –** გადაჭარბებული მგრძნობელობა სინათლის მიმართ. ადამიანები თავს არიდებენ კარგ განათებას (დღის შუქი; ტელევიზორის გამოსხივება და ა.შ.), რამდგან ის იწვევს თვალების ტკიცილს.

**მხედველობითი (ვიზუალური) ინფორმაცია (Visual information)** – მხედველობითი შეგრძნების გზით მიღებული ინფორმაცია.

**მხედველობითი მეხსიერება (Visual memory)** – ვიზუალური ინფორმაციის კოდირება, შენახვა და აღდგენა.

## მხედველობის სიმახვილის და უსინათლობის კლასიფიკაცია (Classification of low vision):

- მსუბუქი – **Mild** – 20/30-20/60
- საშუალო – **Moderate** – 20/70-20/160
- მძიმე – **Severe** – 20/200-20/400
- ღრმა – **Profound** – 20/500-20/1,000
- უსინათლობასთან /სიბრმავესთან/ მიახლოებული – 20/1,000 ნაკლები
- უსინათლობა /სიბრმავე/ **total blindness, no Light Perception** – სინათლის შეგრძნების, დანახვის უნარის არქონა.

**მხედველობის ველი (Visual field)** – როდესაც ნორმალურად მხედველი ადამიანის მზერა წინ არის მიმართული, ის ხედავს ასევე ორივე მხარეს (მარჯვნივ და მარცხნივ) თვალის მოძრაობის გარეშე. ეს არეალი, რომელიც ერთდროულად აღიქმება უძრავი, წინ მიმართული მზერით, არის მხედველობის ველი. მხედველობის ნერვები ორივე თვალიდან ისეა განაწილებული, რომ ნერვული ბოჭკოები ორივე თვალის მარჯვენა ნაწილიდან მიემართება თავისი ტვინის მარჯვენა ნაწილში და ნერვული ბოჭკოები ორივე თვალის მარცხენა ნაწილიდან – თავისი ტვინის მარცხენა ნაწილში.

## 6

**ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი (Fetal alcohol syndrome)** – ვითარდება მუცელადყოფნის პერიოდში, ორსულის მიერ ალკოჰოლის ჭარბი, სისტემატური მიღების შედეგად და შეუქცევად ხასიათს ატარებს. ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი თანდაყოლილი დეფექტების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციას, ქალა-სახის ანომალიებს, ქცევისა და ფსიქიკური განვითარების დარღვევებს.

**ნაწილობრივ მხედველი (Partially sighted)** – ტერმინი, რომელიც ოფიციალურად გამოიყენება 20/70-დან 20/200-მდე მხედველობის სიმახვილის აღსაწერად. ასევე გამოიყენება მხედველობის ისეთი დაქვეითების აღსაწერად, როდესაც „გამოყენებადი“ მხედველობა შენარჩუნებულია.

**ნევროლოგიური (Neurological)** – ცენტრალური ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული.

**ნევროლოგიური დარღვევები (Neurological disorder)** – დარღვევა ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაში.

**ნისტაგმი (Nystagmus)** – [ბერძნ. nystagmos თვლემა] – თვალის კაკლის უნებლიერ, რიტმული, სინქრონული გვერდითი, ზევით-ქვევით მიმართულების ან ბრუნვითი ხასიათის მოძრაობები. შეიძლება იყოს თანდაყოლილი, ან შეძენილი (მრავლობითი სკლეროზის, ლაპირინთის ან ნათხემის დაავადებისა და სხვ. დროს).

**ნორმა (Norm)** – საშუალო, ზოგადი ან სტანდარტული მდგომარეობა რაიმე კონკრეტულ პირობებში. ნორმა აღნერს საშუალო, ტიპურ ან ჩვეულებრივ მდგომარეობას (მაგ. ამა თუ იმ კონკრეტულის ასაკის ბავშვის მიერ მიღწევების ტესტში მიღებული საშუალო ქულა ან ახალშობილის საშუალო წონა).

**ნორმაზე დაფუძნებული ტესტები (Norm-referenced tests)** – ტესტები, რომელთა საშუალებითაც ხდება ინდივიდის ფუნქციონირების მაჩვენებლების შედარება, იმავე ასაკის სხვა ინდივიდების მაჩვენებლებთან. მაგ. ბავშვის კითხვის უნარჩვევების შედარება, ამავე ასაკის ყველა სხვა ბავშვის კვლევაზე დაფუძნებულ საშუალო მაჩვენებელთან.

## III

**ოკულარული (მხედველობითი) (Ocular)** – თვალთან დაკავშირებული.

**ოტოლოგია (ოტიატრია) (Otology)** – ბიომედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს როგორც ყურის ნორმალურ ანატომიას და ფიზიოლოგიას, ისე მის დაავადებებს, დაავნოსტიკასა და მკურნალობას.

۳

**პათოლოგია (Pathology)** – მეცნიერება დაავადების წარმოშობისა და დაავადებით გამოწვეული სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებების შესახებ.

**პედიატრია (Pediatrics) –** მედიცინის სფერო, რომელიც ჩვილის, ბავშვისა და მოზარდის ჯანრთელობის საკითხებითაა დაკავებული.

**პოსტნატიალური (Postnatal) – დაბადების შემდგომ აღმოცენებული.**

**პრენატალური (Prenatal) –** დაბადებამდე (მუცლადყოფნის პერი-ოდში) არსებული ან აღმოცენებული.

**პრესბიოპია / დისტანციური მხედველობა/ (Presbyopia) – [ბერძნ. presbys მოხუცი, opsis მხედველობა] – მოხუცებულობითი შორსმხედველობა. ნათელი მხედველობის უახლესი წერტილის შეცვლა, რაც ასაკთან დაკავშირებული ბროლის ელასტიურობის დაქვეითების შედეგია; ასაკში შესული ადამიანები ორმხრივ ამოზნექილ სათვალეებს ხმარობენ, რომლებიც ავსებს ბროლის დასუსტებულ გარდამტეხუნარიანობას.**

6

**სოციალური კომუნიკაციის დარღვევა (Social Communication Disorder)** – ახასიათებს მეტყველების, უესტების, მზერისა და მიმიკის გამოყენების პრობლემები სხვებთან კომუნიკაციის დაწყებისა და გაგრძელებისას. ამ დროს ბავშვს უჭირს საუბარში ადეკვატურად ჩართვა, დისტანციის დაცვა და მიმართ-

ვისა და კომუნიკაციის სწორი ფორმების გამოყენება იმის მიხედვით, თუ ვის ესაუბრება – მასწავლებელს, მშობელს, მე-გობარს თუ უცხო ადამიანს.

## 5

**ყნოსვითი დაცვა (Olfactory defensiveness) –** გადაჭარბებული მგრძნობელობა ან რეაქცია სუნებზე.

**ყრუ-უსინათლო (Deaf-blind)** – ვიზუალური და სმენითი დარღვევების მქონე პირი

**ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD -Attention Deficit Hyperactivity Disorder) –** ცენტ-რალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევა, რომელიც მოიცავს ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა), იმპულსურობას (უნებლიერი ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე), ჰიპერაქტიურობას (ფიზიკური მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასაც ხშირად ერთვის ემოციური მოუმწიფებლობა, აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება.

## 6

**შეზღუდული შესაძლებლობების მოდელები (Models of disabilities) –** შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები ხსნის და სხვადასხვა ჭრილში განიხილავს ინდივიდის შეზღუდულ შესაძლებლობას თუ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას. არსებობს ორი ძირითადი მოდელი, რომელიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ არსებულ თანამედროვე შეხედულებებზე. ეს არის შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელი და შეზღუდული შესაძებლობების სოციალური მოდელი.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი – ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები. ეს კი განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას, ანდა ყოფაცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე (საქართველოს კანონი სამედიცინო, სოციალური ექსპერტიზის შესახებ, ზოგადი დებულება, მუხლი 3, <http://moh.gov.ge/ge-pdf/kanonebi/8.pdf>);**

**დაკავშირებული ცნებების განმარტება (იქვე):**

- ქმედითუნარიანობა –** თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარი;
- ქმედითუნარიანობის შეზღუდვა –** ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით;
- ქმედითუნარიანობის შეზღუდვის ხარისხი –** ჯანმრთელობის მოშლის შედეგად გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრის სიდიდე. სიტყვა „ინვალიდი“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, 1995 წლიდან ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

**შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელი (Medical model of disability) –** სამედიცინო მოდელის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა განიხილება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პრობლემა, სირთულე, „ნაკლებანება“. იმისთვის, რომ განხორციელდეს შეზღუდული შესაძ-

ლებლობების მქონე პირის საზოგადოებაში ინტეგრაცია, უნდა მოხდეს ამ „ნაკლოვანების“ აღმოფხვრა (თუკი ეს შესაძლებელია), ანუ უნდა შეიცვალოს თავად ინდივიდი, მოერგოს გარემოს და საზოგადოების მოთხოვნებს.

**შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოდელი (Social Model of Disability)** – სოციალური მოდელის თანახმად, ადამიანის შესაძლებლობებს ზღუდავს ის ფიზიკური, სოციური თუ სხვა ბარიერები, რომელიც არსებობს გარემოსა და სოციურმში. სოციური და გარემო თავისი წყობით და ორგანიზებით ახდენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დისკრიმინაციას და მათი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყვას. სოციალურ მოდელში აქცენტი კეთდება გარემოსა და სოციურის, და არა ინდივიდის, ადაპტირების საჭიროებაზე, რათა გარემოში მაქსიმალურად შემცირდეს ის ბარიერები, რომელიც ზღუდავს ადამიანის შესაძლებლობებს და აქცევს მას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად.

**შფოთვითი რეაქცია (Anxiety reaction)** – ხშირად წარმოიშობა ობიექტური მიზეზის არარსებობის ფონზე. წარმოადგენს ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება შიშის ძლევი შეგრძნებით, საფრთხის განცდით და თან ახლავს ისეთი ფიზიკური სიმპტომები, როგორებიცაა ოფლიანობა, გახშირებული პულსი, სუნთქვის გართულება და სხვა.

### (3)

**ცენტრალური ნერვული სისტემა (Central nervous system)** – ნერვული სისტემის ნაწილი, ურთიერთდაკავშირებული ნერვული ბოჭკოების რთული ქსელი, რომელიც აერთიანებს თავის ტვინსა და ზურგის ტვინს და პასუხისმგებელია ორგანიზმის ყველა ნაწილის აქტივობაზე.

**ცერებრული დამბლა (Cerebral palsy)** – თავის ტვინის ერთი ან რამდენიმე უბნის დაზიანების ან განვითარების დარღვევის შედეგი, რომელსაც ახასიათებს სხეულის მოძრაობებისა და კუნთთა ტონუსის სხვადასხვა სახისა და ხარისხის დარღვევა. ბავშვის თავის ტვინი შეიძლება დაზიანდეს მუცლად ყოფნის, მშობიარობის ან ჩვილობის დროს. **ცერებრულ დამბლას შესაძლებელია** განვითარების სხვა დარღვევებიც ახლდეს, მაგალითად, გონებრივი ჩამორჩენილობა, ეპილეფსია, მხედველობითი და სმენითი დარღვევები. **კუნთთა ტონუსის დარღვევების** მიხედვით გამოყოფენ ცერებრული დამბლის შემდეგ ფორმებს:

**სპასტიური ფორმა (Spastic Cerebral Palsy)** – კუნთების მაღალი ტონუსი, კუნთების დაჭიმულობა. **ცერებრული დამბლის ყველაზე გავრცელებული ფორმა.** ადამიანს უჭირს პოზის შეცვლა, ერთი პოზიდან მეორეში გადასვლა, ნებითი მოძრაობის შესრულება.

**ათეტოიდური ფორმა (Athetoid Cerebral Palsy)** – ამ დროს კუნთთა ტონუსი მერყეობს სუსტსა და ძლიერს შორის, ადგილი აქვს სპაზმებს, კუნთთა ტონუსის აწევის შეტევებს დაქვეითებული ტონუსის ფონზე. ამის გამო, ბავშვებს აღნიშნებათ უნებლიერი მოძრაობები – ჰიპერკინეზები, რომელთაც ვერ აკონტროლებენ (კიდურების, სახის კუნთების, კისრის). ბავშვის ნებითი მოტორული აქტივობა გართულებულია, უჭირს სხვადასხვა პოზის მიღება და შენარჩუნება, ელემენტარული მოქმედების შესულება.

**ატაქსიური ფორმა (Ataxic Cerebral Palsy)** – ხასიათდება მოძრაობის კოორდინაციის, წონასწორობის დარღვევით კუნთთა დაძაბულობასთან ან მოღუნებასთან ერთად.

**ატონური ფორმა (Atonic Cerebral Palsy)** – „რბილი“ ფორმა, როდესაც გამოხატულია კუნთთა ტონუსის ძლიერი დაქვეითება, კუნთების მოდუნება. ადამიანს უჭირს თავის დაჭერა, დიდხანს ჯდომა, დგომა, სიარული, სხეული მოშვებულია.

**კიდურების დაზიანების მიხედვით** განასხვავებენ ცერებრული დამბლის შემდეგ ფორმებს:

**ორმაგი ჰემიპლეგია** – ცერებრული დამბლის ფორმა, როდესაც მოტორული დარღვევები ოთხივე კიდურში ვლინდება, მაგრამ უფრო გამოხატულია ხელებში, ვიდრე ფეხებში.

**სპასტიკური დიპლეგია** (ლიტლის სინდრომი) – ცერებრული დამბლის ყველაზე ხშირი ფორმა. მისთვის დამახასიათებელია მოტორული დარღვევები ოთხივე კიდურში, მაგრამ უფრო ძლიერად ქვედა კიდურებში. დი- ნიშნავს ორს, ხოლო პლეგია-დამბლას. ვლინდება პირველივე თვეებში.

**სპასტიკური ჰემიპლეგია** – ჰემი- ნიშნავს ნახევარს, პლეგია-დამბლას. იგი ხასიათდება მოტორული დარღვევებით სხეულის რომელიმე მხარეს, ამ დროს ფეხები ნაკლებად ზიანდება, ვიდრე ხელები.

**ტეტრაპლეგია** – როდესაც ოთხივე კიდურში ძლიერ გამოხატულია მოტორული დარღვევები, რაც უკიდურესად ამძიმებს ბავშვის მდგომრეობას.

## 6

**ხმის დარღვევა (Voice disorder)** – ხმის ტემპრის, სიმაღლის ან ხარისხის დარღვევა, რაც მსმენელს ხელს უშლის მისი მეტ-ყველების გაგებაში. ამ დარღვევას შეიძლება თან ახლდეს ტკი-ვილის შეგრძნება ლაპარაკის დროს.

## 3

**ჰემოფილია (Hemophilia)** – თრომბოპლასტინისა და ფიბრინის გა-მომუშავების ნაკლებობა, რის გამოც სისხლი კარგავს შედე-დების უნარს და მცირე ნაკაწრმაც კი შეიძლება სასიკვდილო სისხლდენა გამოიწვიოს.

**ჰიდროცეფალია** – წყალმანკი (Hydrocephalus, «water on the brain») – პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც თავის ქა-

ლაში თავ-ზურგ-ტვინის სითხის ჭარბი რაოდენობით ხასიათ-დება. მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე.

**ჰიპერაქტივობა (Hyperactivity) –** ქცევა, რომელიც ხასიათდება გადაჭარბებული მოტორული აქტიურობითა და მოუსვენრობით.

**ჰიპერმგრძნობელობა (Hypersensitivity)** – უკიდურესად მაღალი მგრძნობელობა სტიმულებზე.

**ჰიპეროპია, ჰიპერმეტროპია (Hyperopia, Hypermetropia)** – შორს-მხედველობა; ვლინდება ახლომხედველობის უნარის დაქვეითების სახით. ადამიანი ბუნდოვნად ხედავს ახლო მანძილზე განლაგებულ ობიექტებს ფოკუსირების მცდელობის მიუხედავად.

**ჰიპოთეზა (Hypothesis)** – ფენომენის ან მოვლენის სავარაუდო ახსნა, საჭიროებს დამტკიცებას კვლევის ჩატარებით ან სხვა გზით.

**ჰიპოსენსიტივიტე** – უჩვეულოდ დაბალი მგრძნობელობა სტიმულებზე.

## თავი III

### SWAVLISA DA SWAVLEBIS DAMXMARE TEQNOLOGIEBI

#### გ

**ბინოკულარული ტელესკოპი (Binocular telescope)** – სათვალეზე დამაგრებული ტელესკოპი შეიძლება იყოს როგორც მონოკულარული, ასევე ბინოკულარული. მისი მოხერხებულად ტარება ხანგრძლივი დროის განმავლობაშია შესაძლებელი და ორივე ხელი თავისუფალია. გამოყენება შეიძლება თეატრში, კალათბურთის ყურქბისას და სხვა.

**ბრაილის შრიფტი (Braille)** – ფრანგი ტიფლოპედაგოგის, ლუი ბრაილის მიერ უსინათლო პირებისთვის შექმნილი შრიფტი. ეს სისტემა იყენებს ამობურცულ წერტილებს ასოების, რიცხვების და სხვა სიმბოლოების გამოსახატავად და ეფუძნება უჯრას, რომელიც სიგანეში ორი ამობურცული წერტილის, ხოლო სიგრძეში – სამი წერტილისგან შესდგება.

